ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

20 — 21 ივლისი, 2013 №170 (6171) ფასი: 30 თეთრი

არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დამყარების ბრალდებით კიდევ ერთი პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა 1965 წელს დაბადებული ელიზბარ ფ. არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების ბრალდებით დააკავეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებულმა 1999 წელს დაბადებულ კლავდია მ.-სთან სექსუალური კავშირი რამდენჯერმე დაამყარა. სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ელიზბარ ფ. ლაგოდეხის რაიონში დააკავეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების ჩადენის ფაქტზე სსსკ-ის 140-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 1-დან 3 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. გამოძიებას შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ლაგოდეხის რაიონული სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

26 ივლისს ზაალ სამადაშვილის გადაყენება იგეგმება

ნაციონალების შავი პარასკევი თბილისის საკრებულოში

საკრებულოს სხდომამ აქციის ფონზე ჩაიარა

რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი „ნაციონალების“ პოლიტიკური არენიდან გაყვანის სიმბოლო უნდა გახდეს“

დამთავრდა თუ არა ნაციონალური მოძრაობა

დავით ბაქრაძეს განმარტებების გაკეთება მოუხდა

ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიას აკრიტიკებს

ნინო ბურჯანაძე: „დაუფინანსებლობის გამო ოპოზიციური პარტიები შესაძლოა სატელევიზიო რეკლამის გარეშე დარჩნენ“

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილს პრეზიდენტობის შანსი 10-15 წლის შემდეგ კიდევ მიეცემა“

გიორგი თარგამაძე: „ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა ჩიხში მოექცა“

ნანა დევდარიანი: „საგანგაშოა, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ერთბაშად დასუქდნენ“

„რატომ არ უბრუნებენ ხალხს წართმეულ ქონებას“

ISSN 1987-9385

შოთა მალაშხია: „ადამიანის გატაცებამ ბიზნესის ხასიათი მიიღო“

ნანა დევდარიანი: „საგანგაშოა, რომ „ქართული ოცნების“ წევრები ერთბაშად დასუქდნენ“

„რატომ არ უბრუნებენ ხალხს წართმეულ ქონებას“

ნონა ცაბაძე

ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტი ნანა დევდარიანი ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს აფასებს. დევდარიანი ენდიაის კვლევებს ეხმაურება და აცხადებს, რომ, კიდევ კარგი, ნაციონალურ მოძრაობაზე არ თქვეს, ერთადერთიო ოპოზიციური ძალაოო.

ნანა დევდარიანი:

– ნავარომ უკვე იმდენჯერ გამოაქვეყნა ასეთი მონაცემები, არ გახსოვთ, საპარლამენტო არჩევნების წინ 16%-ზე მეტს არ აჩვენებდა „ქართული ოცნების“ და ტრადიცია გრძელდება. ახლაც გვამზადებენ იმისთვის, რომ პირველ-მეორეზე გაითვალონ, მეტი არავინ არ არის ამ ქვეყანაში თურმე რა.

– ახალი ხელისუფლებისთვისაც მისაღებია ეს ვითარება?

– ხელისუფლებამ უკვე დაამტკიცა, რომ მათთვის ოპოზიციად მისაღებია ნაციონალური მოძრაობა. როდესაც საპრეზიდენტო არჩევნების წინ კოალიციის ერთ-ერთი წევრი განაცხადებს, მირჩევნია, მეორე ადგილზე ბაქრაძე გავიდეს, ვიდრე ბურჯანაძეო, ამით, მგონი, ყველაფერი ნათქვამია და ურეკში რა შემადგენლობითაც შეხვდნენ, ესეც ამას ამტკიცებს, იმიტომ რომ საპარლამენტო უმცირესობის ლიდერს არ უნდა ხვდებოდეს არც პრემიერ-მინისტრი და არც პარლამენტის თავმჯდომარე, იმიტომ კი არა, რომ არ ელაპარაკონ ერთმანეთს ზოგადად, მაგრამ არსებობს რანგები. თუ რამე იყო მოსალაპარაკებელი, უმცირესობის ლიდერთან უნდა მოელაპარაკა უმრავლესობის ლიდერს. აი, ეს თამაში და კოპწიაობა ამ კოჰაბიტაციით არის სულ უფრო გამაღიზიანებელი.

– ალბათ, უმცირესობასაც გააჩნია, რა ძალასთან გვაქვს საქმე...

– რა თქმა უნდა. ოცნება მთელი წინასაარჩევნო პერიოდი რასაც ამბობდა, პრაქტიკულად, ყველაფერი უკან წაიღეს ამ თვეების განმავლობაში. მხოლოდ არჩევნების მოგება და ხელისუფლებაში მოსვლა არ კმარა. შენ უნდა შეძლო ხელისუფლების შენარჩუნება და არა მარტო ქვეყნის შიგნით დარწმუნება ამომრჩევლის, რომ სწორი გზით მიდიხარ, არამედ ქვეყნის გარეთაც. თუ ამას ვერ ახერხებ, ე.ი. ძალაუფლებას ვერ ახორციელებ. ეს ადამიანები კი, ნაციონალებს ვგულისხმობ, ტყუილებში არწმუნებდნენ დასავლეთს წლების განმავლობაში და შენ შენი სიმართლე რომ ვერ მიგაქვს იქამდე, ეს შენი პრობლემაა. საუბედუროდ, მათი პრობლემა იქცევა ქვეყნის პრობლემადაც.

– ვანო მერაბიშვილს წონაში დაუკლიაო და თურმე ამაზეც უნდა შევშფოთდეთ...

– რა ვიცი, აბა? მთელი მსოფლიო ზოგადად ამბობს, რომ ჭარბი წონა არის ძალიან მავნებელი. მე ახლა იმავეს ვეტყოდი, „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები რომ აიწონონ და შეადარონ, რა წონის იყვნენ პირველი ოქტომბრის არჩევნებამდე და რა წონა გაუხდათ ახლა. მე ჩვენი დასავლელი მეგობრების ადგილზე შევშფოთდებოდი „ქართული ოცნების“ წევრების ჭარბი წონით. რაღაც ერთბაშად ყველა მოსუქდა.

– რა ხდება, ახალი ხელისუფლებაც, ისე, როგორც ძველი, მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავს?

– არ მინდა, ვიფიქრო, რომ ეს ასეა, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალურ ცვლილებებს ჯერჯერობით მოსახლეობა ვერ გრძნობს. ერთი იმედია ახლა დარჩენილი ხალხში, რომ ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნები გადაგორდება და მერე რაღაცა მოწესრიგდება და უკეთესობა იქნება, მაგრამ ასეთი სახის კოაბიტაცია, რომელიც უკვე ექსტაზში შერწყმამდე მივიდა, სულ უფრო აქრობს ამის იმედებს. არაფერი კარგი ამაში არ არის. ამიტომ მე ყოველთვის ვამბობ და ვიმეორებ, რომ როცა ესე შეხმატკბილებულია ეს ორი ძალა და აქ არა აქვს მნიშვნელობა იმას, მათი სურვილით ხდება ეს თუ გარედან ზეწოლის გამოა. როცა ასეთი ორი შეხმატკბილებული ძალაა, პრინციპულია, რომ პრეზიდენტი აირჩეს არც ერთი და არც მეორე პოლიტიკური ძალიდან.

– თუმცა ოცნება კატეგორიული წინააღმდეგია იმავე ნინო ბურჯანაძის, რომელიც რეალურად ერთ-ერთ ძლიერ კანდიდატად ითვლება...

– ოცნებამ რაც მოიმკო იმით, რომ ძალიან ბევრ ადამიანს, უბრალოდ, კოალიციაში გაწევრიანებაზე უარი უთხრა, ყველა ვხედავთ, ხომ? რამდენიც არ უნდა იწუწუნოს ახლა უსუფაშვილმა, იურისტები მაკლია პარლამენტშიო, იურისტები კი არ აკლია, უზარმაზარი იურიდიული დეპარტამენტი არსებობს პარლამენტში და იუსტიციის სამინისტრო არსებობს აგერ, მას აკლია პოლიტიკოსები. თავიდანვე იმის ძახილი, რომ არ მინდა ბურჯანაძე, არ მინდა პეტრე, არ მინდა პავლე და ივანე, აი სწორედ ამის გამოა ახლა ეს ვითარება, რომ დებატებში გამომსვლელი ადამიანიც კი უჭირს დღეს ოცნებას.

– გამოდის, რომ რესპუბლიკელების სურვილმა გადაწონა ყველაფერი.

– ასე გამოიყურება. ყოველ შემთხვევაში, რესპუბლიკელებს არაფერი გაუკეთებიათ საიმისოდ, რომ ეს ხმები უარყონ ან გააქარწყლონ. ასე გამოიყურება ყველაფერი.

– მაშინ ასე ვიკითხოთ: რატომ გადაწონა ამდენი პოლიტიკური ძალა ერთმა რესპუბლიკურმა და თანაც დაბალი რეიტინგის მქონე პარტიამ?

– სხვათა შორის, რესპუბლიკელებს არაერთხელ მოუწონებიათ თავი იმით, რომ აი, ჩვენ ხომ არ გვაქვს რეიტინგი, მაგრამ ყველა გაერთიანებებში ყოველთვის წამყვან პოზიციებზე ვიყავით, თვლიან, რომ ეს არის მათი პოლიტიკური ძალის ნიშანი. ეს მათი პოლიტიკური ძალის ნიშანი კი არა, სხვათა პოლიტიკური უსუსურობის მიზეზია. ადრე იყო ხოლმე ასეთი გამონათქვამი – ლამაზი ქალი ყოველთვის ცდილობს, თავისზე უფრო მახინჯი დაქალი წაიყვანოს პაემანზე, თვითონ რომ კიდევ უფრო ლამაზი გამოჩნდესო. ჩვენც თუ ამ გზით ვიარეთ და თავისზე უკეთესი არავინ უნდათ პარლამენტში, მაშინ მივიღებთ იმას, რაც უკვე მივიღეთ, როდესაც წრეგადასული ამბიციები აქვს არჩევნებში წაგებულ პარტიას, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და პასუხს არავინ სთხოვს ამაზე. აი, ეს არის შედეგი და თუ ახლა კოაბიტაცია არის რესპუბლიკელებისა და ნაციონალების მეგობრობა, ასეთი ეპიზოდები, მე, პირადად, ბევრჯერ მინახავს, უბრალოდ, ადრე სხვა სახელები ერქვათ იმ პოლიტიკოსებს და სხვა პოლიტიკურ ძალას წარმომადგენდნენ.

– თანდათან სუსტდება პარლამენტს გარეთ დარჩენილი ოპოზიციური პარტიის შანსები. დაფინანსებაც მხოლოდ მათ ეზრდებათ, ვინც პარლამენტში მოხვდნენ...

– ეს იგივე თამაშია, როგორც სააკაშვილმა გადარეცხა მთელი პოლიტიკური სპექტრი 2003-ში ხელოვნურად, ასე ხდება ახლაც. მოდით, დავუბრუნდეთ 2003 წლის არჩევნებს, რომელზეც ზოგიერთი უტიფრად დღესაც ამბობს, რომ გაყალბებული იყო. ექვსი პოლიტიკური პარტია გავიდა მაშინ პარლამენტში. ჩამოგითვლით: ეს იყო შევარდნაძის კოალიცია, იყო აღორძინება, იყო ნაციონალური მოძრაობა, ბურჯანაძე-დემოკრატები, „ახალი მემარჯვენეები“ და ლეიბორისტები. ექვსი პარტია გავიდა. ცოტა დააკლდა მრეწველებს, 7%-იანი ვერ გადალახეს. ექვსი პარტიიდან არავის ჰქონდა უმრავლესობა და მეტსაც გეტყვით, ორი პარტიაც რომ გაერთიანებულიყო, მათაც კი არ შეეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება, თუ დანარჩენებთან დიალოგი არ იქნებოდა. მოვიდა აგრესიული ძალა 2003-ში, რომელსაც არავისთან არ უნდოდა მოლაპარაკება და მთელი 9 წელიწადი ყველას აჩვენეს, რომ არავის აზრს არასოდეს არ ისმენდნენ და ყველაფერს თავის ჭკუაზე აკეთებდნენ ან გარედან ნაკარნახევს. იგივე გააკეთა, პრაქტიკულად, კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ჯერ კიდევ არჩევნებში გამარჯვებამდე, როცა ითქვა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს. შეირჩნენ რომელიღაც სუბიექტები, ასე შეიქმნა კოალიცია და დანარჩენ არასაპარლამენტო ოპოზიციაზე ერთიანად ითქვა უარი. ეს თამაში კი არის გასაგები. ფინანსების გარეშე ეს პარტიები ნელ-ნელა სულს დაღაფავენ და სწორედ აქეთ მიდის ყველაფერი. ნაციონალებმა გაიოთხმაგეს დაფინანსება, ახლა არჩევნებში წაგების შემდეგ, წელიწადში 5 მილიონს თუ მოგცემენ, იმ ფონზე, რაც შენ ფული გაქვს ნაშოვნი, რა ვიცი, ამისთვის წაგების დარქმევაც ძალიან ძნელია. ეს წინადადება გაოთხმაგების შესახებ ვინ შემოიტანა, იცით? დავიტ ბერძენიშვილმა, რესპუბლიკური პარტიის წევრმა. რა თქმა უნდა, ამის ხარჯზე რესპუბლიკელებმაც გაიზარდეს დაფინანსება, მაგრამ, შესაბამისად, ნაციონალებმაც მიიღეს. დაფინანსების გარეშე პარტიებმა როგორ უნდა იარსებონ შემდეგ არჩევნებამდე და რა უნდა იყოს, ეს სრულიად გაუგებარია.

– უნდა ვივარაუდოთ, რომ სამომავლოდ შეიძლება რესპუბლიკურ-ნაციონალური კოალიცია მივიღოთ?

– ფაქტობრივად, უკვე ასე გამოიყურება ახალ პარლამენტში. კოალიციაში შემავალი პოლიტიკური პარტიები პოლიტიკურად სუსტები არიან და ისინი რესპუბლიკელებს წინააღმდეგობას ვერ უწევენ.

– ხომ არსებობს პარტია „ქართული ოცნება“?

– პარტია „ქართული ოცნება“ უნდა შექმნილიყო არჩევნებამდე. თუ გახსოვთ, მე ერთი კვირა ვიყავი იქ და წამოვედი სწორედ იმიტომ, რომ მივხვდი, ყველანაირად ხელს უშლიდნენ, რომ ბიძინა ივანიშვილს საკუთარი პარტია შეექმნა. არჩევნების მოგების შემდეგ ყველა აეტორღიალება მოგებულ ძალას. ამიტომაც არის ამდენი გაუგებრობა ადგილობრივი ორგანიზაციების დაფუძნებისას და ახლაც არ არსებობს ივანიშვილის პარტია. 9 თვეზე მეტი გავიდა არჩევნების მოგების შემდეგ და ახლაც არ არსებობს. არ ვიცი, ახლა შეიძლება ფიქრობს, საერთოდ რაში სჭირდება პარტია, როცა თვითონ აპირებს პოლიტიკიდან წასვლას. ასეთ შემთხვევაში, თუ შენ არ აპირებ, შენი პარტია შექმნა და შენ თვითონ მიდიხარ საზოგადოებრივ სექტორში, რატომ უშლი ხელს სხვა პარტიებს, რომ გაძლიერდნენ, რაღაც არენაზე გამოვიდნენ. რაც მეტი კონკურენციაა, ხომ უფრო ჯანსაღი პოლიტიკური პროცესია, არა?! ერთი შეხედვით, გამოდის ასე, რომ ეს იყო ყველაზე ადვილი სცენარი იმისთვის, რომ ნაციონალური მოძრაობა დროებით წასულიყო ოპოზიციაში და გასჩენოდა ამბიცია, რომ ძალიან მალე დაბრუნდნენ.

– სააკაშვილიც რაღაც თამამ განცხადებებს აკეთებს. მასაც ხომ არ აქვს რამის იმედი?

– როგორ არა აქვს, ეს ყველაფრიდან ჩანს. მან იძახა კიდეც, პოლიტიკური ბრძოლიდან ვერავინ გამიყვანსო. ალბათ ის ფიქრობს ან ნაციონალური მოძრაობის რებრენდინგზე, ან სულაც ახალი პარტიის შექმნაზე. მერე ნახეთ თქვენ მისი ყვირილი, მე ოპოზიციური პარტია შევქმენი და იმიტომ მიპირებენ დაჭერასო. თუმცა დღევანდელი სიტუაციით მაინცდამაინც არ ჩანს, რომ ვინმე მის დაჭერას აპირებდეს.

– ამბობენ, რომ ეს დაჭერები და სამართლიანობის აღდგენის პროცესი საპრეზიდენტო არჩევნებამდე უნდა შეჩერდეს... ამ კუთხითაც ყველანაირად უწყობენ ხელს ნაციონალებს?

– რა უნდა შეჩერდეს რაც არ დაწყებულა?! ერთადერთი რაც ნამდვილად გაკეთდა ეს იყო პოლიტპატიმრების გამოშვება და იქ დამთავრდა ყველაფერი. უამრავი ადამიანია, ვისაც ქონება წაართვეს, დღემდე ელის, რომ იქნებ რამენაირად დაიბრუნოს დ არაფერი არ ხდება ამ კუთხით. სამართლიანობის აღდგენაა ეს ყველაფერი?!

– ბოლოს ხომ არ მოხდება ისე, რომ ხალხმა დაარქვას ყველაფერს თავისი სახელი და გამოუტანოს განაჩენი ამ ყოფილ ხელისუფლებას, თუკი ახალი არ ფიქრობს ამაზე?

– საზოგადოებამ რა უნდა გააკეთოს? ლინჩის წესით ხომ არ გაასამართლებს? არაფრით არ შეიძლება ამის დაშვება და მადლობა ღმერთს, რომ ამის მცდელობები არ არის. ხელისუფლებას ხალხი ირჩევს, იმიტომ რომ მართლმსაჯულება უნდა განახორციელოს არჩეულმა ხელისუფლებამ და სასამართლო სისტემამ. აბა, მაშინ რა აზრი აქვს ვინმეს არჩევას? ახლა მუქთამჭამელები გვაკლია ჩვენ თუ როგორ არის საქმე? რა უჩდება ხელისუფლების შენახვა ქართველ ხალხს? ძალიან ძვირი მინდა გითხრათ და ამის საფასურად მას უფლება აქვს, მიიღოს სამართლიანობა. რომელსაც ვერ იღებს, სამწუხაროდ და, თუ ოქტომბრის მერეც არ იქნა ეს, მაშინ, მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნების“ რეიტინგი ძალიან სწრაფად დაეცემა. ჯერ ისედაც ეცემა, თვალნათელია.

– ასევე ამბობენ იმასაც, რომ მარგველაშვილი ძალიან სუსტი პრეზიდენტი იქნება და მის მართვას ადვილად შეძლებენ...

– სუსტი ფიგურაა, რა თქმა უნდა. ის ახლახან შემოვიდა საჯარო პოლიტიკაში და ჯერ კიდევ არ არის გარკვეული პროცესებში და კიდევ უფრო რთულ პროცესში შეჰყავთ. ვისაც ექნება ქვეყანაში მონოპოლიური მდგომარეობა, რა თქმა უნდა, ის მოახერხებს მასზე ზეგავლენის მოხდენას, თუნდაც იმიტომ, რომ მას გამოცდილება არ ჰყოფნის. აღარაფერს ვამბობ მის რბილ ხასიათზე, კაცი თვითონ ამბობს, პლასტილინის კაცი ვარ, სადაც მიმაგდებენ, იმ ფორმას მივიღებო.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, რა შანსები აქვს ნინო ბურჯანაძეს? მით უმეტეს, ძველი სიებით და ძველი კანონმდებლობით. თქვენი აზრით, თუკი ექნება მხარდაჭერა, აქვს გამარჯვების შანსი?

– მიუხედავად ყველაფრისა, აქვს, იმიტომ რომ ასეთივე სიები იყო, ასეთივე დრაკონული კანონმდებლობა და ძალიან აგრესიული ხელისუფლება, მაგრამ ქართველმა ხალხმა შეძლო და აირჩია „ქართული ოცნება“. მართალია, მას მოჰპარეს ხმები და 40%-ით ნაციონალები შევიდნენ პარლამენტში, მაგრამ უმრავლესობა მაინც დააკარგვინეს. ახლაც შესაძლებელია ეს, თუკი ხელისუფლება კეთილს ინებებს და სამართლიან არჩევნებს ჩაატარებს.

– მოჰპარესო, ამბობთ და, თუ ყველაფერი წინასწარ გათვლილი იყო და შეთანხმებულები იყვნენ, იქნებ ესეც ასე უნდა ყოფილიყო?

– ჩემთვის ცოტა რთულია იმის დაშვება, რომ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა დათანხმდებოდნენ იმაზე, რომ ეს გაეთამაშებინათ. ერთი წამითაც არ დაუშვიათ მაგათ, რომ ხელისუფლებაში აღარ იქნებოდნენ. დღესაც არ ესმით, რატომ წააგეს არჩევნები, დღესაც ვერ აცნობიერებენ. უბრალოდ, ის, რაც მოხდა პირველ ოქტომბერს, მაგათთვის იყო შოკისმომგვრელი. ამას არანაირად არ ელოდნენ. იმდენად უპრობლემოდ იმარჯვებდნენ ყველა არჩევნებში, ყოველ შემთხვევაში, ახერხებდნენ ამის ასე წარმოჩენას, რომ არაფრით არ დაუშვიათ, თუ პირველ ოქტომბერს წააგებდნენ.

– აბა, რა მოხდა შემდეგ, გარიგდნენ?

– დასავლეთიდან მიანიშნეს აშკარად, დანებეთ თავი, ეს 40% რაცა აქვთ აქვთ და აიტანეთ, როგორც ოპოზიციაო. აი, აქედან დაიწყო კოაბიტაცია, როდესაც უთხრეს, ახლა ამ 40%-ს ნუ გააპროტესტებთო და ოცნებამ მართლაც არ გააპროტესტა და მე თუ მკითხავთ ეს სწორი არ იყო. თავიდანვე იქნა შეცდომები დაშვებული.

დამთავრდა თუ არა ნაციონალური მოძრაობა

დავით ბაქრაძეს განმარტებების გაკეთება მოუხდა

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ დავით ბაქრაძე ყურადღების ცენტრში მოექცა. სოციალურ ქსელებში აქტიურად განიხილებოდა მისი ინტერვიუ. „ვერსიისთვის“ მიცემულ ინტერვიუში პარლამენტის ყოფილი თავკაცი ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა. ამას საქართველოში ყოველი მეორე ამბობს, მაგრამ ბაქრაძის მხრიდან გაკეთებულ ასეთ განცხადებას სხვა ეშხი აქვს.

მის ამ განცხადებას ისეთი წიოკი მოჰყვა, რომ ბაქრაძე იძულებული შეიქნა, განმარტებები გაეკეთებინა. „ახალი თაობა“ მის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– მეგობრებო! მინდა, გამოვეხმაურო ჩემს დღევანდელ ინტერვიუს, რომელმაც დიდი ვნებათაღელვა გამო-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

26 ივლისს ზაალ სამადაშვილის გადაყენება იგეგმება

ნაციონალების შავი პარასკევი თბილისის საკრებულოში

შორენა მარსაგიშვილი

გუშინდელ დღეს მთელი საქართველო, განსაკუთრებით კი თბილისი, მოუთმენლად ელოდა. ოდესღაც ნაციონალმრავალ თბილისის საკრებულოს ამ პარტიის წევრები თანამდებობებიდან უნდა დაეფრინათ და, რა გასაკვირია, რომ ამ სანახაობას ერი მოუთმენლად დაელოდებოდა.

ნაცმოძს საკრებულოში უმრავლესობა თვალსა და ხელს შუა შემოადნა. აქედან გამომდინარე, წინასწარ გრძნობდნენ, რომ 19 ივლისის სხდომა მათთვის მძიმე იქნებოდა. სხდომის დაწყებამდე ნაციონალებმა განაცხადეს, რომ საკრებულოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას სასამართლოში გაასაჩივრებდნენ.

უმცირესობაში მყოფი ნაციონალები სხდომაზე მარტონი არ მისულან. გარეთ მათ მხარდასაჭერად აქციას „თავისუფლების ზონა“ მართავდა. ზონელები მთელი სხდომის მანძილზე სკანდირებდნენ: „ვირთხები, ვირთხები“.

განსაცდელში მყოფმა ნაციონალებმა გუშინდელი თავყრილობა უკანონოდ და არალეგიტიმურად გამოაცხადეს და სხდომას არ დაესწრნენ.

– ეს სხდომა არალეგიტიმურია და მის ნებისმიერ გადაწყვეტილებას სასამართლოში გავასაჩივრებთ. ჩვენ არც ერთ სკამს არ

ვებლაუჭებით, უბრალოდ, გვინდოდა, რომ კანონის სრული დაცვით მომხდარიყო ჩვენი თანამდებობებიდან გადაყენება და ახალი პირების დანიშვნა, რაც არ მოხდა. ამიტომ ჩვენ ამ სპექტაკლში არ ვმონაწილეობთ. მიზეზი იმისა, რომ ინტერფრაქციული ჯგუფის წევრები ასეთი დაჩქარებული წესით მოქმედებენ, არის ის, რომ პრემიერ-მინისტრი საქართველოში არ იმყოფება და მის ჩამოსვლამდე ყველაფრის მოსწრება სურთ. ბიძინა ივანიშვილი საკრებულოში მიმდინარე მოვლენებზე საქმის კურსში არ არის, – განაცხადა სხდომის დაწყებამდე მამუკა ახვლედიანმა.

მან ისიც გვამცნო, რომ ნაციონალური მოძრაობა ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას მხარს არ დაუჭერს.

სხდომაზე ნაციონალების დაუსწრებლობის გამო არანაციონალებს არ უნაღვლიათ და ხალხი პოსტებიდან მშვიდ ვითარებაში გადააყენეს.

თბილისის საკრებულოს გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და 13 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის გადაყენების საკითხი, ასევე თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილის, გიორგი ქველაძის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი იდგა.

კენჭისყრის შედეგად საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე მამუკა ახვლედიანი თანამდებობიდან გადააყენეს. მისი ბედი საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიის თავმჯდომარე ნიკოლოზ ბაჩილავამ, თბილისის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე თეიმურაზ გრიგალაშვილმა, ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩაჩანიძემ, საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილმა, საკრებულოს საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე ხვიჩა სანაიამ, საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე იოსებ ეგუტიამ, სახეებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლაშა იმედაშვილმა, განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ ნაცვლიშვილმა, საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარე გურამ კინწურაშვილმა, ადამიანის უფლებათა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე კახა გურულმა, თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დავით ჯინჭარაძემ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე გელა ომანიძემ და ურბანულ და ძველი თბილისის რეაბილიტაციის კომისიის თავმჯდომარე დავით წერეთელმა გაიზიარეს.

გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ახალი კანდიდატურების წარდგენისა და დამტკიცების საკითხი განხილული არ იყო.

26 ივლისამდე კომისიების თავმჯდომარეების კანდიდატურებზე კონსულტაციები გაგრძელდება. 26 ივლისს საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილის გადაყენების საკითხი დადგება.

მიღებული გადაწყვეტილებით საკრებულოს ყოფილი ნაციონალი და არანაციონალი წევრები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ. განსაკუთრებული კმაყოფილება ირაკლი შიხიაშვილმა გამოხატა, რომელიც 1 ოქტომბრის არჩევნებამდე მგზნებარე ნაციონალი იყო.

– რამდენიმე დღის წინ მე და ჩემი კოლეგები შეგპირდით, რომ ძალიან მალე ამ ქალაქში ნაციონალების ბინძური ავანტიურა და უზნეო პარპაში დასრულდებოდა და დღეს თბილისის საკრებულოში „ნაციონალურ მოძრაობას“ არც ერთი კომისიის თავმჯდომარე აღარ ჰყავს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალები“ დღეს უმცირესობაში არიან, ჩვენ მათ მაინც ვთავაზობთ ურთიერთობას, ვინაიდან ქალაქის წინაშე პასუხისმგებლობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი მოწონება-არმოწონება“, – განაცხადა საკრებულოს ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა.

საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას საქალაქო სასამართლოში მას შემდეგ გაასაჩივრებს, რაც შესაბამის დადგენილებებს ხელი მოეწერება. ამის შესახებ ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის წევრმა და საკრებულოს თავმჯდომარის უკვე ყოფილმა პირველმა მოადგილე მამუკა ახვლედიანმა, საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა.

– 19 ივლისს თბილისის საკრებულოს ე.წ. რიგგარეშე სხდომა ჩატარდა, რომელმაც საკადრო საკითხები, პირადად ჩემი თანამდებობიდან გადაყენების თემა და კომისიის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი განიხილა. ჩვენი ფრაქციის პოზიცია ცალსახად უცვლელია. მიგვაჩნია, რომ ეს სხდომა იყო სრულიად არალეგიტიმური, ძალადობრივი და ძალდატანებითი მეთოდებით მოწვეული. ყველას მოგეხსენებათ, როგორ შეიქმნა ეს 25-კაციანი უმრავლესობა: ძალადობით, შანტაჟით, დაპატიმრებებითა და ბორკილების დადებით. ამიტომ ნაციონალური მოძრაობა ამ გადაწყვეტილებას ლეგიტიმურად არ ცნობს, ვინაიდან მთელი რიგი იურიდიული დარღვევები მოხდა. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება უახლოეს პერიოდში, როგორც კი ამის შესაძლებლობა იქნება, თბილისის საქალაქო სასამართლოში გასაჩივრდება და ჩვენ სასამართლოს გადაწყვეტილებას დაველოდებით, – განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, მიუხედავად მიმდინარე რთული პროცესებისა, ნაციონალური მოძრაობა მზადყოფნას გამოთქვამს, სხვა პარტიებთან ითანამშრომლოს, იმისათვის, რომ არ შეჩერდეს თბილისის განვითარება.

თბილისის საკრებულოს წევრი კახა კუკავა კი დედაქალაქის მერსა და მთლიანად თბილისის ხელისუფლებას გადადგომისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერმა გუშინ საკრებულოში რიგგარეშე სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

– ჩვენი პარტია მხარს უჭერს პოლიტიკურ ძალთა ბალანსის შეცვლას, ნაციონალური მოძრაობის ოპოზიციაში გადასვლას. მოვუწოდებთ დედაქალაქის მერს, მანამდე გადადგეს, სანამ თავად საკრებულო აიძულებს ამას. მივმართავთ ასევე თბილისის საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელებს, დედაქალაქის მერის მოადგილეებს, დატოვონ თანამდებობები. თბილისის მერის აპარატის თანამშრომლებს კი ეს მოთხოვნა არ ეხებათ და შეუძლიათ, მუშაობა გააგრძელონ. დედაქალაქის ბიუჯეტი უნდა ხმარდებოდეს თბილისის ინტერესებს და არა გიგი უგულავას სტრიპტიზბარებში სიარულს! – განაცხადა კუკავამ.

მისივე ინფორმაციით, საშემოდგომო სესიაზე პარლამენტი განიხილავს კანონპროექტს, რომლითაც საკრებულოს უფლებამოსილება, მერიასთან შედარებით, გაიზრდება.

საკრებულოს ახალი უმრავლესობა, რომელმაც გუშინ საკრებულოს ყველა კომისიის თავმჯდომარე თანამდებობიდან გაათავისუფლა, დედაქალაქის მერის გადაყენების საკითხის დასმას აპირებს.

როგორც რიგგარეშე სხდომის დასრულების შემდეგ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ზაზა გაბუნიამ განაცხადა, პარლამენტში განიხილება საკანონმდებლო ინიციატივები, რომლის თანახმადაც, საკრებულოს მეტი უფლებები ექნება, როგორც ეს ადრე იყო.

ზაზა გაბუნიამ განმარტა, რომ თბილისის მერის გადაყენების საკითხის დასმა შემოდგომაზე მოხდება.

– საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა საკრებულოს თბილისის მერის გადაყენების უფლებაც მიეცეს. ეს არის საკონსულტაციო საკითხი და საშემოდგომო მსჯელობის საგანი, – აღნიშნა ზაზა გაბუნიამ.

მისივე თქმით, საკრებულოში ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა კიდევ უფრო მეტად დაიშლება და რამდენიმე ფრაქციად ჩამოყალიბდება. ეს უახლოეს დღეებში მოხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკრებულოს სხდომამ აქციის ფონზე ჩაიარა. „თავისუფალი ზონის“ წევრები საკრებულოს წინ შეიკრიბნენ და აცხადებდნენ, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ჯერ კიდევ ერთი თვის წინ ტაშს უკრავდნენ ნაციონალურ მოძრაობას, არ უნდა მიეცეთ საშუალება, კვლავ მიიღონ მონაწილეობა ქალაქთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში.

აქციის მონაწილეებს თან ჰქონდათ აუდიოჩანაწერი, სადაც საკრებულოს დეპუტატი ირაკლი შიხიაშვილი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ სიტყვით გამოდის.

აქციის მონაწილეები აცხადებენ, რომ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი წევრები, ამჟამად ახალი უმრავლესობის წარმომადგენლები, უპრინციპო ადამიანები არიან.

შოთა მალაშხია: „ადამიანის გატაცებამ ბიზნესის ხასიათი მიიღო“

შორენა მარსაგიშვილი

შიდა ქართლში საკმაოდ მძიმე ვითარებაა. რუსები უკვე კარგა ხანია, წინ მოიწევენ და საქართველოს ტერიტორიაზე მავთულხლართებს ავლებენ. ხელისუფლება გვეუბნება, რომ უნდა მოვითმინოთ. ერიც ითმენს და ელოდება, როდის დაექვემდებარება რუსების ქმედება პრემიერის ფსიქოანალიზს.

მავთულხლართების გავლების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას სხვა პრობლემებიც ექმნება. კონფლიქტის ზონაში საქართველოს მოქალაქეების გატაცებამ უკვე მასობრივი სახე მიიღო.

ამ საკითხის ირგვლივ დაპატიმრებამდე ვანო მერაბიშვილიც ჩიოდა. ნაცმოძის გენმდივანი საგანგებო პრესკონფერენციის გამართვასაც აპირებდა. მერე რატომღაც გადაიფიქრა და ამ საკითხზე არაფერი აღარ უთქვამს.

სამაგიეროდ, ამ თემაზე შოთა მალაშხია ალაპარაკდა. ნაციონალი დეპუტატის განცხადებით, ოკუპირებული რეგიონების მიმდებარედ ადამიანის გატაცებამ ბიზნესის ხასიათი მიიღო, რაშიც, ალბათ, ქართული მხარის კრიმინალური სტრუქტურებიც ჩაერთვებიან.

– იმ ხედვებმა და მიდგომებმა, რომელიც დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთის მიმართ აქვს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მდგომარეობა გაართულა. დღევანდელი ხელისუფლება რუსეთთან პირისპირ დარჩა, როდესაც მას შეეძლო, რუსეთისთვის საერთაშორისო დონეზე პასუხი მკაცრად მოეთხოვა. რაც შეეხება ადამიანების გატაცებებს, ამან ბიზნესის ხასიათი მიიღო, რომელშიც ჩართულია კორუმპირებული ჯარი და მარიონეტული ხელისუფლება. ალბათ, ქართული მხარის კრიმინალური სტრუქტურებიც ჩაერთვებიან და მივიღებთ იმ სიტუაციას, რაც შევარდნაძის დროს იყო. თუ შევადარებთ „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდს და დღევანდელ დღეს, რუსულ ხაზს ანუ ნინო ბურჯანაძეს მაშინ ვლადიმერ პუტინი ელაპარაკებოდა, დღეს კი მოლაპარაკებები კარასინ-ონიშჩენკოს დონეზეა ჩამოყვანილი.

შესაწყვეტია ეს პოლიტიკა რუსეთთან. გამოსავალი საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და საერთაშორისო სასამართლოების ჩართვა, რა დარღვევაც მოხდება, მასზე შესაბამისი რეაგირებაა, თუმცა ამას დღევანდელი ხელისუფლება თავისი პრორუსულობის გამო არ აკეთებს, – განაცხადა „პრაიმ ტაიმის პრესკლუბში“ გამართულ პრესკონფერენციაზე მალაშხიამ.

მალაშხიამ სოჭის ოლიმპიადაც დასწყევლა. მისი აზრით, დაუშვებელია, საქართველომ ამ ღონისძიებაში მიიღოს მონაწილეობა.

– სირცხვილია ის, რომ ქართველები, ქართული დროშებით, სოჭის ტერიტორიაზე ოლიმპიადაში მიიღებენ მონაწილეობას, შეიქმნება უხერხული სიტუაციები, რადგან რუსეთი იქ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებებსაც დაპატიჟებს. ოლიმპიადაში მონაწილეობა იმიტომაცაა გაუმართლებელი, რომ იგი ტარდება ტერიტორიაზე, სადაც ჩერქეზების გენოციდი მოხდა, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე ქართველების ეთნოწმენდა განხორციელდა, – აცხადებს მალაშხია.

სოჭის ოლიმპიადას ჩვენებურები აგვისტოს ომის შემდეგ გადაეკიდნენ. მანამდე კი პუტინს დედაბუდიანად ულოცავდნენ სოჭის გამარჯვებას. მაშინ შოთა მალაშხიამ, ეტყობა, არ იცოდა, რომ ოლიმპიადის ადგილზე ჩერქეზების გენოციდი მოხდა.

სოჭის ოლიმპიადის რისხვამ, შოთა მალაშხიამ, გუშინ მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებზეც ისაუბრა. მას გონივრული ეჭვი აქვს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური აუცილებლად გაიმართება.

– დღეს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატს 29%-იანი რეიტინგი აქვს, მაშინ როცა მის პარტიას – 50%. მის პარტიას გაცილებით მეტი რეიტინგი აქვს. რაც არ უნდა გაიზარდოს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რეიტინგი, ის 50%-ს ვერ მიაღწევს. ამიტომ პირველ ტურში შედეგი ვერ დადგება. ჩვენ გვაქვს 10%-იანი რეიტინგი, როცა კანდიდატი არ გვყავს. კანდიდატის დასახელების შემდეგ რეიტინგი გაიზრდება. ვფიქრობ, მეორე ტური აუცილებლად გაიმართება, – განაცხადა მალაშხიამ.

დამთავრდა თუ არა ნაციონალური მოძრაობა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

იწვია საინფორმაციო სააგენტოებში. კერძოდ, მთავარი განსახილველი გახდა თითქოს ჩემი ნათქვამი ფრაზა: „ნაციონალური მოძრაობა დამთავრდა“. მინდა, მკაფიოდ განვმარტო: ჩემი ამ წინადადების კონტექსტიც, შინაარსიც და კონკრეტული ფორმაც ეხებოდა იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა ძველი სახით დამთავრდა, პარტიაში მიდის განახლების პროცესი და ჩვენ ვყალიბდებით ახალი ტიპის პარტიად, რისი დასტურიცაა მიმდინარე პრაიმერიც, გულახდილი დებატებიც წარსულზე და პარტიაში მიმდინარე სხვა ცვლილებებიც. ნებისმიერი ადამიანი, ვინც წაიკითხავდა ინტერვიუს, დარწმუნდებოდა, რომ კონტექსტიდან ამოგლეჯილად და თან ასეთი შემოკლებული და უზუსტო სახით ეს ფრაზა სრულიად არ შეესაბამება ინტერვიუს ზოგად სულისკვეთებას, რომლის აზრიც არის ის, რომ განახლებული ნაციონალური მოძრაობა, რომელიც გულწრფელად და ობიექტურად აფასებს მტკივნეულ თემებს, რომელიც მზად არის, ითანამშრომლოს ხელისუფლებასთან ეკონომიკური კრიზისიდან ქვეყნის გამოსაყვანად და რომელიც რჩება პრინციპულ და აქტიურ ოპოზიციად, ხელისუფლებაში დაბრუნების პერსპექტივით – ასეთი ნაციონალური მოძრაობა არის პარტია, რომელსაც აქვს მომავალი და იმსახურებს ხალხისა და საზოგადოების მხარდაჭერას. სწორედ ასეთი ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო პრაიმერში ვიღებ მე მონაწილეობას და იმედი მაქვს, ყველა თქვენგანთან ერთად ბევრ კეთილ საქმეს გავაკეთებთ ჩვენი ქვეყნისთვის! – ვკითხულობთ განცხადებაში.

რამაზ საყვარელიძე: „მარგველაშვილი „ნაციონალების“ პოლიტიკური არენიდან გაყვანის სიმბოლო უნდა გახდეს“

ნათია ხურცილავა

პრესკლუბ „მედიაინფოში“ პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ჟურნალისტების კითხვებს უპასუხა.

ინტერვიუ რამაზ საყვარელიძესთან:

– პოლიტიკურ პროცესებში, რომელიც დღეს ვითარდება, რა სიახლე არის საზოგადოებისთვის, რიგითი ამომრჩევლისთვის?

– მოლოდინი არის ახალი. მოლოდინი იმისა, რომ პროცესები კანონის ფარგლებში განვითარდება. 1 ოქტომბრის შემდეგ ახალი რეალობა გაჩნდა ქვეყანაში. თუმცა, ნაციონალურმა მოძრაობამ ხელების გადაგრეხით ხალხს წაგლიჯა ის პროცენტები, რომლითაც დღეს პარლამენტში არიან. მათ მიიღეს კუთვნილი ერთი პროცენტი, დანარჩენი კი წაგლიჯეს. შესაბამისად, 40 პროცენტით დღეს პარლამენტში არიან წარმოდგენილი. ეს 40 პროცენტი თითქოსდა არჩევნების გაყალბების სიმბოლოა. ამის ფონზე ადამიანებს სრულიად ბუნებრივად უჩნდებათ მოლოდინი, რომ ვინც ამ გაყალბების წინააღმდეგი იყო, ის თავად არ იქნება გამყალბებელი. ეს მოლოდინია სიახლე. რაც უფრო დიდია მოლოდინი, მით უფრო გადადის ემოციაში, ადამიანს თუ გაუმართლებს, ძლიერ უხარია, თუ არ გაუმართლებს, ასევე ძლიერ განიცდის. ეს ადამიანური ემოციაა, რაც, ცხადია, აისახება, უკვალოდ არ ქრება. ეს მაშინებს, რადგან მოლოდინები, რომელიც აქვთ ადამიანებს, საზოგადოებას, თუ არ გამართლდა, ეს დიდ იმედგაცრუებას და ზურგშექცევას გამოიწვევს. ამიტომ საპრეზიდენტო არჩევნები, უფრო ზუსტად კი, წინასაარჩევნო პროცესი, უნდა იყოს იმედიანი, ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ტარდება ისეთი არჩევნები, სადაც კითხვის ნიშნები არ ჩნდება. მერე უკვე იმის მომიზეზება, რომ ან ნაციონალები უშლიან ხელს, ან ეკონომიკური მდგომარეობა, რთული სარწმუნო იქნება. დღეს ხელისუფლებას აქვს გარკვეული მიზეზები, ფაქტორები, რომელზეც ის აქცენტს აკეთებს და აცხადებს, რომ ეკონომიკურ წინსვლას დრო უნდა, საგარეო პოლიტიკის წარმატებულად წარმართვაში ნაციონალები უშლიან ხელს, შიდა პოლიტიკურ პროცესებში ხშირ შემთხვევაში საბოტაჟს აქვს ადგილი და ა.შ. ამ მოტივებს ეჭვქვეშ დიდად არ ვაყენებ, რადგან რეალურად იქმნება ასეთი შთაბეჭდილება, მაგრამ ნორმალური საარჩევნო კოდექსის მიღება, საარჩევნო პროცესში ნაციონალური მომრაობისთვის ასეთი პრივილეგიის არ მიცემა რთულია? ხომ დასვამს ამ კითხვას ხალხი. თუკი საზოგადოებას გაუჩნდა განცდა, რომ ეს ხელისუფლება კი არა, დარდუბალაა, მერე პროცესები განვითარდება ისე, როგორც არაერთხელ გვინახავს.



– არასაპარლამენტო ოპოზიცია ეჭვს გამოთქვამს, რომ ხელისუფლებას დღეს აწყობს, ნომერ პირველი ოპოზიცია ნაციონალური მოძრაობა იყოს, რადგან მათთან უფრო კომფორტულად გრძნობენ თავსო. რამდენად აქვს მათ ეჭვს საფუძველი?

– მათ ეჭვს აქვს საფუძველი. ის, რომ „ქართულ ოცნებას“ პარტნიორად, ოპოზიციურ ძალად ერჩივნოს ნაციონალური მოძრაობა, ლოგიკურია, იმიტომ, რომ ნაციონალები ხელისუფლებაზე უფრო არიან დამოკიდებული, ვიდრე სხვა პარტიები. დამოკიდებულები არიან იმიტომ, რომ ბევრი დანაშაულია ჩადენილი. ეს პარტიები მეტ-ნაკლებად ზეგავლენისგან თავისუფალნი არიან, ამ თავისუფლებას კი როგორ გამოიყენებენ, ამის კონტროლი რთულია. თუ თავისუფალი არ არის, კონტროლი შესაძლებელია. მეორე ფაქტორიც არის.

– რას გულისხმობთ?

– უფრო მეტი ხმის მოპოვება შეუძლიათ. მე არ ვამბობ, რომ უფრო ძლიერი ან უფრო მეტი მხარდამჭერი ჰყავთ.

– ნაციონალურ მოძრაობაზე საუბრობთ?

– დიახ.

– დღესაც შეუძლიათ?

– დიახ, დღესაც, რადგან ბევრ მექანიზმს ფლობს ისეთს, რომლითაც ხმებს მოიპოვებს.

– კოჰაბიტაციის ფაქტორის გათვალისწინებით?

– არა. ნაციონალურ მოძრაობას უამრავი პარტნიორი ჰყავს, რომელთა დანაშაული იცის და მათი მართვა შეუძლია. ნაციონალური მოძრაობის ეს აზროვნება ჩანს ფარულ ჩანაწერებში. ისინი ცდილობდნენ ადამიანების მართვას მათი შანტაჟის გზით. ამ მექანიზმის ამუშავებით ნაციონალებმა დიდი შანსია, რომ ბევრი ხმა მიიღონ, რისი შანსიც ნაკლებად აქვთ პატარა და პატიოსან პარტიებს. თუმცა, თუ საზოგადოებაში ჩამოყალიბდება აზრი, რომ „ოცნებასა“ და „ნაციონალებს“ შორის ალიანსია, რომც ეს აზრი მცდარი იყოს, ეს ყველაზე დიდი საფრთხე შეიძლება აღმოჩნდეს „ქართული ოცნებისთვის“. მაშინ იმ დამოკიდებულებას, რაც „ნაციონალების“ მიმართ აქვთ, „ოცნებაზე“ გადაიტანს.

– თქვენ ამბობთ, ამან შეიძლება „ქართული ოცნების“ მიმართ ნიჰილიზმი გამოიწვიოს?

– დიახ.

– ეს საბედისწერო შეიძლება აღმოჩნდეს მათთვის?

– შეიძლება. განსხვავებით „ნაციონალებისგან“, „ოცნების“ მიმართ ხალხს შიში არა აქვს. ამდენად, პროტესტიც უფრო ღია იქნება.

– ბატონო რამაზ, საპრეზიდენტო არჩევნებზე რას იტყვით, უალტერნატივო კანდიდატია გიორგი მარგველაშვილი თუ შანსები სხვებსაც აქვთ? ეს ის არჩევნებია, სადაც ყველაფერი წინასწარაა ცნობილი თუ ასე არ არის?

– მგონი, ასე არ არის. საკმაოდ სერიოზული პრეტენდენტია ნინო ბურჯანაძე, სალომე ზურაბიშვილი შემოვიდა ამ მარათონში, როგორც სერიოზული კანდიდატი. არც ნათელაშვილი არ არის გვერდით გადასადები. ცხადია, გამარჯვებული ერთი იქნება, მაგრამ ამ კანდიდატების აქტიურობა, მათი მონაწილეობა პროცესში, გამოიწვევს ხმების დაშლას. ეს კი რომელიღაცის მდგომარეობას იმთავითვე შეარყევს.

– ხმების დაფანტვა მეორე ტურს გამოიწვევს?

– არაფერია გამორიცხული. რადგან ოპოზიციამ ვერ მოახერხა ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანება, მიიღებს იმ შედეგებს, რასაც ხმების დაყოფა ჰქვია. მე ველოდები, რომ მეორე ტური იქნება, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მეორე ტურში მაინცდამაინც ოპოზიცია გაიმარჯვებს. მაგალითად, მახსენდება არჩევნები, სადაც ლევან გაჩეჩილაძე იყრიდა კენჭს. მთლიანობაში ოპოზიციური განწყობილება ფართოდ იყო მოდებული, მაგრამ ვერ მოხერხდა ამ განწყობილების გაერთიანება სხვადასხვა მიზეზით. ბევრი ფაქტორი იყო. ოპოზიცია მეორე ტურს ითხოვდა, მაგრამ სასწრაფოდ საკაკაშვილმა 53 პროცენტი გაიფორმა, რომ მეორე ტური არ ყოფილიყო და პირველივე ტურში მოესტუმრებინა საქმე. ის 53 პროცენტიც არ იყო რეალური. ანალოგიური მდგომარეობა დღეს არ გვაქვს. თუ დღეს დიდი რეიტინგი არა აქვს მარგველაშვილს, ეს ბევრს არ ნიშნავს, რადგან ძალიან ნიჭიერი პიროვნებაა და, სავარაუდოა, რომ თავის პოლიტიკურ ეფექტს გაზრდის. ისევ მეორე ტურს რომ დავუბრუნდეთ, თუ მეორე ტურში გავიდნენ მარგველაშვილი – ბურჯანაძე ან მარგველაშვილი – ზურაბიშვილი, ეს არ ნიშნავს, რომ ის, ვინც ოპოზიციას აძლევდა ხმას, საკითხის ასე დაყენების შემთხვევაში მაინცდამაინც ბურჯანაძეს მისცემს ხმას. სოციოლოგიური გამოკითხვების მიხედვით, ბურჯანაძესაც საკმაოდ სუსტი რეიტინგი ჰქონდა. სიტუაცია, მე ვიტყოდი, აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია. დიდია შანსი იმისა, რომ მეორე ტური იყოს და ასევე დიდია შანსი, რომ მეორე ტურში გამარჯვებულიც გიორგი მარგველაშვილი იყოს.

– როგორი იქნება წინასაარჩევნო კამპანიის გზავნილები, კანდიდატები ელექტორატის რა ნაწილზე იმუშავებენ? მაგალითად, მარგველაშვილი ვისზე გააკეთებს აქცენტს?

– ნინო ბურჯანაძესა და სალომე ზურაბიშვილზე უფრო ადვილია მსჯელობა თუ როგორ აქცენტებს გააკეთებენ ისინი და ვინ იქნება მათი გზავნილის ადრესატი, ვიდრე მარგველაშვილზე. ზურაბიშვილი და ბურჯანაძე ეცდებიან, რომ ორიენტაცია აიღონ იმ ხალხზე, რომლებისთვისაც „ოცნებაც“ მიუღებელია და „ნაციონალებიც“. ისინი ელექტორატის მესამე ჯგუფზე იმუშავებენ, რაც უფრო შრომატევადი იქნება თავისთავად. ვფიქრობ, ეს უფრო რთული ამოცანაა. რაც შეეხება გიორგი მარგველაშვილს, ის ეცდება „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაპირისპირებაზე აიღოს აქცენტი და იმ ამომრჩევლის სრული მხარდაჭერა მოიპოვოს, რომლებისთვისაც „ნაციონალური მოძრაობა“ მიუღებელია. გიორგი მარგველაშვილი უნდა გახდეს სიმბოლო, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნაციონალების“ პოლიტიკური არენიდან გაყვანის. სავარაუდოდ ამაზე ააგებს ის თავის წინასაარჩევნო კამპანიას, მაგრამ თუ ხმები გაძლიერდა იმის შესახებ, რომ „ნაციონალები“ და „ოცნება“ ალიანსშია, არა აქვს მნიშვნელობა, ეს რეალობა იქნება თუ მოგონილი, მაშინ მარგველაშვილი წინასაარჩევნო რიტორიკის დროს დიდ ბერკეტს დაკარგავს.

– ასაკობრივი თვალსაზრისით, შეიძლება გამოვყოთ კანდიდატების გზავნილები?

– რასაკვირველია, შეიძლება. გიორგი მარგველაშვილი ახალგაზრდებზე, სტუდენტებზე გააკეთებს მეტ აქცენტს. განათლების სისტემაში მუშაობის კვალი იქნება მის წინასაარჩევნო გზავნილებში. მით უმეტეს, რომ მარგველაშვილმა ამ მიმართულებით ეფექტური ნაბიჯები გადადგა.

– თუმცა, ხმაურიანი აქციების ფონზე...

– ეს მაინც პოლიტიკური აქციები იყო და არ იყო განათლების სისტემის მიმართულებაზე ორიენტირებული. გაიხსენეთ, ვინ იყვნენ აქციებზე.

ბაჩო ახალაია ირაკლი ალასანიას აკრიტიკებს

ნათია ხურცილავა

საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ექსმინისტრი, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ბაჩო ახალაია განცხადებას ავრცელებს და მიიჩნევს, რომ საქართველოს დღეს ყველაზე სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი ჰყავს.

აღნიშნულ განცხადებას ბაჩო ახალაია „ფეისბუკის“ მეშვეობით ავრცელებს.

– დღეს საქართველოს მისი ისტორიის მანძილზე ყველაზე სამარცხვინო თავდაცვის მინისტრი ჰყავს. ირაკლი ალასანია არის ადამიანი, რომელიც საჯაროდ აპროტესტებს იმ ფაქტს, რომ ჩემი მინისტრობის პერიოდში 30-მდე გამორჩეულმა სამხედრო მოსამსახურემ, ადამიანებმა, რომლებიც იცავდნენ ქვეყანას და არ ჰქონდათ საკუთარი საცხოვრებელი, ბინები საჩუქრად მიიღეს, – წერს ახალაია.

თუმცა, თავდაცვის ყოფილი მინისტრი არაფერს ამბობს გიგი კალანდაძის ბინაზე, რომელიც, თავდაცვის

მინისტრის ინფორმაციით, 500 ათასი დაჯდა.

– მე გული იმაზე მწყდება, რომ მინისტრობის პერიოდში ვერ შევძელი და უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს ვერ ავუშენეთ ბინები. ნებისმიერი ნორმალური მინისტრი და, უბრალოდ, წესიერი ადამიანი სწორედ ამაში უნდა ეჯიბრებოდეს მის წინამორბედს და უნდა ზრუნავდეს სამხედრო მოსამსახურეების პირობების გაუმჯობესებაზე. ამის ნაცვლად, ირაკლი ალასანიამ შეაჩერა პრეზიდენტის ბრძანებულების აღსრულება და ბინების გადაცემა სამხედრო მოსამსახურეებისთვის. სწორედ ამიტომ, ორი ჯარისკაცი, რომლებმაც ავღანეთში ქვედა კიდურები დაკარგეს და რომელთათვისაც ბინების გადაცემა გადაწყვეტილი იყო, – დღემდე უიმედოდ ელოდებიან დახმარებას. ალასანიამ ააწყო კორუფციაზე დაფუძნებული სისტემა და ტენდერებში მის საახლობლოს, კანონის უხეში დარღვევებით, გაამარჯვებინა.

სწორედ ამიტომ, ცხრა თვის მანძილზე გაფუჭებული საკვების მიღებით, ასობით ჯარისკაცი რამდენჯერმე მოიწამლა და ამ დროს, ალასანია იმ დონეზეც კი გათავხედდა, რომ 2008 წლის გმირებს აქილიკებს და სახელმწიფოსგან საჩუქრად გადაცემულ ბინებს ამადლის. მოვა დრო და ირაკლი ალასანია სათითაოდ აგებს პასუხს ქართული ჯარის წინაშე მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, – ნათქვამია ბაჩო ახალაიას განცხადებაში.

ჯარისკაცების საკვებით ინტოქსიკაციის ფაქტები დღეს ღიად ვლინდება და, როგორც ექსპერტები ამბობენ, მასზე რეაგირებას ახდენს თავდაცვის სამინისტრო და პირადად მინისტრი. სწორედ ალასანიამ გააკეთა განცხადება პირდაპირ ეთერში იმ „თავების“ დაგორების შესახებ, რომლებიც სამხედროების საკვებით უზრუნველყოფით არიან დაკავებულები.

ახალაიას მინისტრობის დროს ხდებოდა თუ არა ჯარისკაცების საკვებით ინტოქსიკაციის ფაქტები, პრესისთვის უცნობია, რადგან სისტემა სრულად იყო დახურული და შესაბამისად შეუძლებელი იყო მსგავსი ფაქტები საჯარო განხილვის საგანი ყოფილიყო. ნიშნავს თუ არა გაუხმაურებლობა იმას, რომ მსგავს ფაქტს ადგილი არ ჰქონდა?!

ბიძინა ივანიშვილი სენატის მარშალს შეხვდა

პოლონეთში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ამ ქვეყნის სენატის მარშალს შეხვდა. ბიძინა ივანიშვილის შეხვედრა ბოგდან ბორუსევიჩთან პოლონეთის რესპუბლიკის სენატში გაიმართა.

ოფიციალური ინფორმაციით, მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის საკითხებზე იმსჯელეს. პრემიერ-მინისტრმა მადლიერებით აღნიშნა, რომ პოლონეთი, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ერთ-ერთი ავტორი, დიდ მხარდაჭერას გამოხატავს საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში. მისივე განცხადებით, საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართულია საიმისოდ, რომ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სფეროებში განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმები პასუხობდეს არსებულ გამოწვევებს და ითვალისწინებდეს ევროპულ პრაქტიკას.

შეხვედრის დასრულების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

მედიანიუსი

ეკატერინბურგში „დედ ჰასანის“ ძმისშვილი „თემურ ტბილისსკი“ და რვა კრიმინალური ავტორიტეტი დააკავეს

ცნობილი ავტორიტეტის „დედ ჰასანის“ ძმისშვილი, ეკატერინბურგში, კრიმინალური ავტორიტეტების შეკრების დროს დააკავეს. დაკავებულებს შორის, კრიმინალურ სამყაროში ცნობილი კიდევ რვა ადამიანია.

როგორც „ნაკანუნე.რუ“-ს რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების პრეს-მდივანმა განუცხადა, დაკავება სწრაფი რეაგირების სპეციალური დანაყოფის დახმარებით განხორციელდა.

„კრიმინალების დაკავება, კაფეში მათი შეკრების დროს მოხდა. პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მათ ვერც კი მოასწრეს, რადგან ოპერაცია სულ რამდენიმე წამში დასრულდა“ – განაცხადა პრეს-მდივანმა.

დაკავებულებს შორის, მოსკოვში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე, ე.წ. „კანონიერი ქურდი“ თემურ მირზოევი, მეტსახელად „თემურ ტბილისსკიცაა“. ეკატერინბურში ის სპეციალურად ამ შეკრებისთვის ჩაფრინდა.

„როდესაც სამართალდამცავებმა მას ვინაობის დასახელება მოსთხოვეს, მან განაცხადა, რომ მას მთელი რუსეთი იცნობს და მის შესახებ სრული ინფორმაციის გაგება ინტერნეტითაა შესაძლებელი“ – განაცხადა პრეს-მდივანმა.

თემურ თბილისსკის გარდა, დაკავებულებ შორისაა 1962 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქე პაატა ლანგვილავა, ეკატერინგურგში მცხოვრები საქართველოს მოქალაქე 1951 წელს დაბადებული ზურაბ თევთიძე და 1987 წელს დაბადებული შალვა აკოები. დაკავებულია ასევე, 1955 წელს დაბადებული ვლადიმირ სოლომენიკოვი, მეტსახელად სოლომა, 1980 წელს დაბადებული ლევან აკოევი,– მეტსახელად ლიოპვა, 1978 წელს დაბადებული დაღესტნის მოქალაქე ნასიმი კაზიმაგომედოვი, ეკატერინბურგში მცხოვრები 1978 წელს დაბადებული იური შავილოვი და ჩელიაბინსკის რაიონში მცხოვრები აზერბაიჯანის მოქალაქე ილჰამ ოსმანოვი.

შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ დააკავეს „დედ ჰასანის“ კიდევ ერთი ნათესავი კარლ მამედოვი, მეტსახელად კარო.

კარო, თემურ მირზოევთან ერთად ეკატერინბურგში ე.წ. „მაყურებლად“ იყო დაყენებული, თუმცა, როგორც პრესა წერს, ის ურალმაშევსკის დაჯგუფების მხარეს გადავიდა და მათ შეუერთდა, მირზოევი კი „დედ ჰასანის“ ერთგული დარჩა.

ზამთარში რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ „დედ ჰასანის“ ოპოზიციურმა დაჯგუფებამ, ურალში თავისი „მაყურებელი“ დააყენა, რამაც სავარაუდოდ ეკატერინბურგში, კრიმინალური ძალაუფლებისთვის ბრძოლის პროვოცირება მოახდინა.

ნიუსპრესი

ნინო ბურჯანაძე: „დაუფინანსებლობის გამო ოპოზიციური პარტიები შესაძლოა სატელევიზიო რეკლამის გარეშე დარჩნენ“

შორენა გონგლაძე

პარტია „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერის და პრეზიდენტობის კანდიდატის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, მთავრობაში მოსვლის შემდეგ, 9 თვის განმავლობაში, „ქართულ ოცნებას“ საარჩევნო გარემოს გასაუმჯობესებლად არაფერი გაუკეთებია.

ამის შესახებ მან პარტიის ცენტრალურ ოფისში განაცხადა, სადაც 19 ივლისს, პარტია „თეთრებმა,“ ნინო ბურჯანაძეს, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს მხარდაჭერა პირადად გამოუცხადა.

– ნაციონალური მოძრაობა აგრძელებს მის მიერ შეურაცყოფილი და ფეხქვეშგათელილი მოქალაქეების ჯიბიდან დაფინანსების მიღებას, ხოლო რეალურად ოპოზიციური ძალები, შეიძლება ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომ ტელე-ეთერებში სარეკლამო დროის გამოყენება ვერ შეძლონ, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობამდე თავიანთ სიტყვას ვერ მიიტანენ.

იმედი მინდა ვიქონიო, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც მთელ საქართველოს და მსოფლიოს საარჩევნო გარემოს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ჰპირდება, ამ

პრეტენზიებს სერიოზულად გაითვალისწინებს და იმის იმედიც მაქვს, რომ „ქართული ოცნება“ მოიცლის არა მარტო „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოაბიტაციისათვის, არამედ არასაპარლამენტო ოპოზიციის ელემენტარულად მოსმენისთვის მაინც, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, საკვირველია, რომ ქვეყანაში, სადაც არაერთი სოციალური და ეკონომიკური პრობლემაა, პრეზიდენტის რეზიდენციის თემა აქტუალურია.

ამის შესახებ ბურჯანაძემ ჟურნალისტებს პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის დაგეგმილი მშენებლობის კომენტირებისას განუცხადა.

– ჩემთვის პრეზიდენტის რეზიდენციის თემა აქტუალური ნამდვილად არ არის, ქვეყანაში არის ბევრი მნიშვნელოვანი და სერიოზული პრობლემა, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ამიტომ გასაკვირია, რომ დღეს ეს თემა აქტუალურად დგას. რეზიდენცია უნდა იყოს სახელმწიფო სახლისმაგვარი და ალბათ, მთავრობის კანცელარიაც და პრეზიდენტის ინსტიტუციაც განთავსდეს ამ შენობაში, იმიტომ რომ ის ძალიან დიდია იმხელა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მაგრამ დღეს ეს ნამდვილად არ არის პრიორიტეტული საკითხი, – განაცხადა ბურჯანაძემ.

პატიმრები „ვენტილატორებს“ ითხოვენ

გულიკო ბალაძე

ქალთა მე-5 კოლონიაში პატიმარი ელენე თუშიშვილი შიმშილობს, ის საპატიმროში მცირეწლოვან შვილთან ერთად არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლია.

– სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში კვლავ ადგილი აქვს პატიმრების დამცირებასა და არასათანადო მოპყრობას. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ციხეები კვლავ დახურულია, სადაც არასამთავრობოების მონიტორინგი არ ხორციელდება, – ამის შესახებ უფლებადამცველი გიორგი თევზაძე აცხადებს.

გიორგი თევზაძემ პრესკონფერენცია გამართა და ციხეებში არსებული მდგომარეობის შეფასების პარალელურად რუსეთის მხრიდან საოკუპაციო ზოლის პერმანენტულ გაფართოებასა და ხელისუფლების დამოკიდებულებაზე ისაუბრა.

– რჩება საფუძვლიანი ეჭვი, რომ საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობის ფონზე, რუსული საოკუპაციო ჯარის მიერ საოკუპაციო ზოლის, დემონსტრაციული ფორმით, პერმანენტული გაფართოება და ქართველი მაცხოვრებლების გატაცებები მაპროვოცირებელ ხასიათს იძენს. არ გვსურს ამ საკითხზე უფრო მწვავე დასკვნები გავაკეთოთ. ამისთვის სულ მცირე სათანადო მტკიცებულებების მოძიება იქნება საჭირო. ამ პროცესების ფონზე ჩნდება ბუნებრივი კითხვა, რატომ არ ხდება ამ ფაქტებზე ოფიციალური საპროტესტო ნოტის გაგზავნა რუსეთის ხელისუფლების მიმართ და თუ ხდება, რატომ არ შუქდება იგი საგარეო საქმეთა სამინისტროს სამსახურებისა და მედიასაშუალებებით. საზოგადოება ასევე ნაკლებადაა ინფორმირებული იმ კონკრეტული ღონისძიებების შესახებ, რომელსაც მოქმედი ხელისუფლება ახორციელებს ამ მიზანმიმართული და მაპროვოცირებელი საოკუპაციო პროცესის შეჩერებისა და დეოკუპაციის მიმართულებით. გასაგები მიზეზების გამო, ბუნებრივია, ყველა ამ ღონისძიებაზე ვერ გაიმართა საჯარო დისკუსია. ვერც მისი განსაჯაროება მოხდება, მაგრამ საიდუმლო ინფორმაციების გარდა, არის მთელი რიგი ინფორმაციები, რომელზეც საზოგადოებას აქვს ლეგიტიმური უფლება მიიღოს პასუხები დასმულ კითხვებზე. რთულად შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვა მსგავსი პრობლემის მქონე ქვეყანა, სადაც შესაძლებელია ასეთი პასიური პოზიცია ეკავოს ხელისუფლებას ისეთი საოკუპაციო და უკანონო მოქმედებების მიმართ, როგორც ეს ხორციელდება საქართველოს ვითარებაში. ჩვენ არაერთხელ აღვნიშნეთ და კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ, რა თქმა უნდა, რუსეთთან და, მით უმეტეს, ჩვენს მოძმე აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში ყველა საკითხი მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებით უნდა დარეგულირდეს. თუმცა, მშვიდობიანი ფორმით დარეგულირება არ გულისხმობს მუდმივად ერთი მხარის უმოქმედობას, დათმობის პოლიტიკას და მეორე მხარის მუდმივად აგრესიულ და მიზანმიმართულად მაპროვოცირებელ დამოკიდებულებას, აუცილებელია პრინციპული და თანმიმდევრული, შედეგებზე გათვლილი საგარეო პოლიტიკა დავუპირისპიროთ, რომელსაც, ჯერჯერობით, ვერ ვხედავთ. სამწუხარო შედეგებიც სახეზეა.

გიორგი თევზაძის განცხადებით, გვერდს ვერ ავუვლით ვითარებას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, რადგან ისევ ხდება პატიმართა მიმართ არასათანადო მოპყრობა და პატიმრების მდგომარეობა არასახარბიელოა.

– მიუხედავად პატიმრების მიმართ შეცვლილი დამოკიდებულებისა და მათ უფლებების დაცვის თვალსაზრისით გარკვეული წინსვლისა, სასჯელაღსრულების სისტემაში ჯერ კიდევ გვხვდება გარკვეული ხარვეზები იმ ინფორმაციებზე დაყრდნობით, რაც ჩვენამდე აღწევს პატიმართა ოჯახის წევრებისგან და მედიასაშუალებებით, ცალკეული შემთხვევების თაობაზე პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის და დამცირების შესახებ. ასევე პერიოდულად ხორციელდება შიმშილობის ფაქტები ცალკეული ჯგუფების მხრიდან და მათი სამართლიანი მოთხოვნები. ბოლო ფაქტებიდან გავიხსენებ შიმშილობას რუსთავში პატიმარ ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. ასევე შიმშილობის ინდივიდუალური ფაქტები, – აღნიშნავს უფლებადამცველი.

გიორგი თევზაძე საუბრობს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან პატიმრის მიერ მისთვის გამოგზავნილი წერილის თაობაზე, სადაც საუბარია მე-5 დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებული ქალის მდგომარეობაზე.

– რამდენიმე დღის წინ ქალთა №5 სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მივიღე მსჯავრდებული ელენე თუშიშვილის წერილი, რომლითაც ითხოვს პირადად შეხვედრას და აღნიშნავს, რომ აქვს გარკვეული პრობლემა მას და თავის მცირეწლოვან შვილს, რომელიც იზრდება მასთან ერთ დაწესებულებაში. თუშიშვილი აცხადებს, რომ ადგილი აქვს მათი უფლებების დარღვევის ფაქტებს. ის წერილში მიუთითებს, რომ იძულებულია მიმართოს უკიდურეს ფორმებს. როგორც უფლებადამცველს, სამწუხაროდ, ამჟამად არ გამაჩნია იურიდიული შესაძლებლობა შეუფერხებლად მოვინახულო ეს დაინტერესებული პატიმარი, ვინაიდან პენიტენციური სისტემის საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფი აღარ ფუნქციონირებს. მიუხედავად ამ შემაფერხებელი ფაქტორისა, ვეცდები მოვახდინო წერილზე სათანადო რეაგირება, რათა ქმედითი დახმარება გავუწიო არასრულწლოვან პატიმარს. ასევე მივმართავ უწყებაზე პასუხისმგებელ სამინისტროს, ფაქტით დაინტერესდეს, შეისწავლოს და კანონის ფარგლებში დაიცვას მისი უფლებები, – მოუწოდებს უფლებადამცველი.

გიორგი თევზაძის თქმით, ჯერჯერობით, პრობლემად რჩება ციხეებში ნორმალური საცხოვრებელი პირობების არარსებობა. მათ შორის გამოყოფს, საკმარისი ვენტილაციის არარსებობას, არასათანადო მკურნალობის ცალკეულ შემთხვევებს.

– პატიმრებს ასევე შეზღუდული აქვთ ოჯახის წევრებისგან მიიღონ კანონით ნებადართული ნივთები. მათ შორის, ე.წ. „ვენტილატორები“. ქსნის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული არიან გარკვეული დაავადებების მქონე პატიმრები, რომელთათვის აუცილებელია სპეციფიკური საცხოვრებელი გარემო. თუმცა, ზემოთ მითითებული ვითარების ფონზე, პატიმართა ოჯახის წევრებს არ ეძლევათ საშუალება, შეიძინონ და პატიმრებს მიაწოდონ საჭირო ნივთები, რაც მათ მძიმე მდგომარეობაში ტოვებს. მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ წლების მანძილზე დაგროვილი პრობლემები ერთ თვეში და თუნდაც ერთ წელში ვერ გადაწყდება, არის მთელი რიგი, მათ შორის, საცხოვრისთან, კვებასთან და სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული უფლებები, რომელთა გადაწყვეტა მოკლე პერიოდში არის შესაძლებელი და სისტემას ეს ვალდებულება ეკისრება, – განაცხადა გიორგი თევზაძემ.

როგორც გიორგი თევზაძე აცხადებს:

– ირაკლი დოკვაძე არის ყველა ხელისუფლების პოლიტპატიმარი. ის ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პერიოდიდან დაწყებული იბრძოდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის. ეს ადამიანი ათასი პროვოკაციის მსხვერპლი გახდა. საერთაშორისო ორგანიზაციებმა ის პოლიტპატიმრად აღიარეს და სიკვდილმისჯილთა კამერაშიც კი იჯდა. დღეს ის პოლიტპატიმრად რჩება. დოკვაძეს აქვს საფუძვლიანი მტკიცებულებები იმისა, რომ უდანაშაულოდ იქნას ცნობილი. ის უსაფუძვლოდაა გასამართლებული და მის მიმართ წაყენებული ბრალი ასევე უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. მისი მდგომარეობა დღეს ბევრად მძიმეა. თუ გადავხედავთ მის მიმართ წაყენებულ ბრალს, აშკარად იკვეთება პოლიტიკური მოტივი. პარლამენტში შეტანილია განცხადება მის გათავისუფლებაზე. ირაკლი დოკვაძე პოლიტპატიმართა სიაშია. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამჟამად ირაკლი დოკვაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა და საჭიროებს სათანადო მკურნალობას. „ობიექტივის“ ეთერითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით მივმართე საზოგადოებას, რათა შეიქმნას ირაკლი დოკვაძის გათავისუფლების კომიტეტი, უფლებადამცველებისა და საზოგადოების აქტიური მოღვაწეების, ასევე დაინტერესებული პირების მონაწილეობით, რამაც დადებითი გამოხმაურება ჰპოვა.

„დემოკრატიული მოძრაობა“ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს ფასადურ მოქმედებებზე ხელის აღებისკენ მოუწოდებს

პოლიტიკური პარტია „დემოკრატიული მოძრაობა ერთიანი საქართველოს“ წევრის ირაკლი ჭყოიძის განცხადებით, რომელიც მან გუშინ სპეციალურ ბრიფინგზე გააკეთა, სამწუხაროა, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ რომლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებაც, მნიშვნელოვანწილად უმთავრესმა დაპირებამ – ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენამ განაპირობა, ვერ ასრულებს ხალხისათვის მიცემულ ამ უმნიშვნელოვანეს დაპირებას და უფრო მეტიც, ის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ „ნაციონალური მოძრაობასთან“ კოჰაბიტაციითაა დაკავებული.

„პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებული პერიპეტიები, სამწუხაროდ მოწმობს იმას, რომ კოალიციაში შემავალი პარტიების დიდი უმრავლესობისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდა თავის დროზე „ნაციონალური ხელისუფლების“ მიერ საკუთარ თავზე მორგებული კანონები და ახლა მათ გადაწყვიტეს წინამორბედის მიერ უკიდურესად დამძიმებული საარჩევნო გარემო კიდევ უფრო მძიმე გახადონ.

კანონში შესატანი ცვლილებების ოცნებისეულ ვარიანტს შეიძლება მხოლოდ ცინიკური ეწოდოს, რომ აღარაფერი ვთქვათ უსამართლობის ხარისხზე.

აღნიშნული ვარიანტით, საქართველოს მოსახლეობამ საკუთარი ჯიბიდან, ანუ ქვეყნის ბიუჯეტიდან დაფინანსება ოთხჯერ უნდა გაუზარდოს „ნაციონალურ მოძრაობას“ – პოლიტიკურ ძალას, რომელმაც ქვეყანაში ჩამოაყალიბა ძალადობრივი, ტერორისტული რეჟიმი და რომელთანაც თავდაუზოგავი ბრძოლის უმძიმესი შედეგები თითოეულმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავზე გადავიტანეთ, ხოლო რაც შეეხება თავად „ქართულ ოცნებას,“ მას ამ ცვლილებების მეშვეობით საბაზო დაფინანსება 24-ჯერ ეზრდება.

როგორც აღმოჩნდა, რომ არა „დემოკრატიული მოძრაობის“ მკვეთრად უარყოფითი პოზიციის საჯარო დაფიქსირება, კოალიციის წევრები ინფორმაციულ ვაკუუმში ამყოფებდნენ საკუთარ ლიდერს – პრემიერმინისტრს და მის ზურგს უკან ცდილობდნენ ამ კანონპროექტის გატანას.

საბედნიეროდ, აღნიშნული უსამართლობა უკვე აღკვეთილია, თუმცა შედეგად „ქართული ოცნება“ საკუთარი პოლიტიკური ამბიციების ჩიხში აღმოჩნდა, საიდანაც გამოსავლის ერთადერთი გზა ისევ და ისევ მხოლოდ სამართლიანობაზე გადის.

ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები მომავალ საპრეზიდენტო არჩევნების უპრეცედენტოდ დემოკრატიულად ჩატარების თაობაზე, ასევე მის მიერ, რამდენიმე დღის წინ, საკუთარი გუნდის წევრებთან დაფიქსირებული პოზიცია, იმედს გვაძლევს, რომ ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა შემდგომი ნაბიჯი იქნება ყველა იმ სამართლიანი მოთხოვნის გათვალისწინება, რომელსაც „დემოკრატიული მოძრაობა,“ ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობის პროცესში მაისის თვიდან მოითხოვს.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ყველა მოთხოვნა დამყარებულია ერთადერთ პრინციპზე – სამართლიანობაზე და საარჩევნო გარემოს რეალურ გაუმჯობესებაზე, რაც ყველა პოლიტიკურ ძალას თანაბარ სასტარტო პირობებში ჩააყენებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ ახალი ხელისუფლება დაუყოვნებლივ განაახლებს დიალოგს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან და მათი დამოკიდებულება აღნიშნული უმნიშვნელოვანესი საკითხისადმი, ამჯერად მაინც იქნება სამართლიანი და პარტნიორულ თანამშრომლობაზე დამყარებული.

„დემოკრატიული მოძრაობა“ მოუწოდებს „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებს, რომ ხელი აიღონ „ნაციონალური მოძრაობის“ მსგავს ფასადურ მოქმედებებზე, როდესაც იქმნებოდა დემოკრატიულობის ილუზია, ხოლო რეალური მიზანი მხოლოდ საკუთარი კეთილდღება და ხელისუფლების უზურპაცია გახლდათ“ – განაცხადა ირაკლი ჭყოიძემ.

ნიუსპრესი

გიორგი თარგამაძე: „ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობა ჩიხში მოექცა“

საქართველოს ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარე გიორგი თარგამაძე მიიჩნევს, რომ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფის 5-თვიანი საკმაოდ მძიმე და შინაარსობრივად ნაყოფიერი მუშაობა ჩიხში შევიდა. მისი თქმით, მოლაპარაკებები ჩაიშალა. შეთანხმება, რომელიც მიღწეული იყო, „ქართულმა ოცნებამ“ დაარღვია.

„ეს არის ძალიან ცუდი ნიშანი იმისა, თუ როგორ ვერ ახერხებს დღევანდელი სახელისუფლებო კოალიცია, მთავრობა სხვა პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას ვერცერთ მნიშვნელოვან საკითხზე. მინდა მივულოცო „ქართულ ოცნებას“, რომ ერთადერთი პოლიტიკური პარტია, რომელთანაც ისინი ამ 9 თვის განმავლობაში წარმატებით კოჰაბიტირდებიან და თანამშრომლობენ, არის ნაცმოძრაობა. ვერცერთ სხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასა და, მითუმეტეს, პოლიტიკური პარტიების ერთობლიობასთან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მომავლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სისტემის, ანუ საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფაში, მათ საერთო ენა ვერ გამონახეს“, -— აღნიშნა გიორგი თარგამაძემ.

მისი მოსაზრებით, ეს არის ძალიან ცუდი ნიშანი „ქართული ოცნების“ და მათი ლიდერების ზოგადი დამოკიდებულებისა რეალურად ოპოზიციური პარტიების, მათი სატკივრის, პრობლემების და, ზოგადად, ქვეყანაში დემოკრატიული, სამართლიანი, თანასწორი და თანაბარი საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბების მიმართ.

მედიანიუსი

მოქალაქე - მურმანიგოგობერიშვილს
პ/ნ - 38001007261

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან"გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 801980001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 801980001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 801980001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს "ბითიეი ბანკი"

მოქალაქე - გრიგოლ მშვილდაძეს
პ/ნ - 10001010605

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან" 22.03.2013 წელს გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 798830001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 798830001-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 798830001-ა

და ასევე

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 798830002
საკრედიტო ხელშეკრულება	N 798830002-1
გირავნობის ხელშეკრულება	N 798830002-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს "ბითიეი ბანკი"

მოქალაქე - რამაზ ხარშილაძეს
პ/ნ - 54001015358

როგორც მოგეხსენებათ სს "ბითიეი ბანკთან"გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	N 725490001
საკრედიტო ხელშეკრულება	N 725490001-6
გირავნობის ხელშეკრულება	N 725490001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,

სს "ბითიეი ბანკი"

ანა გომესი: „ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრამ ახალგაზრდა ბაროზო მომაგონა“

ევროპარლამენტარი ანა გომესი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე ეხმიანება და აცხადებს, რომ ახალგაზრდა ქართველმა მინისტრმა მას ევროკომისიის ამჟამინდელი პრეზიდენტი ჟოზე – მანუელ ბაროზო მოაგონა.

„31 წლის შინაგან საქმეთა მინისტრთან გამართულმა ნაყოფიერმა შეხვედრამ, ახალგაზრდა ბაროზო მომაგონა, იგივე ასაკით, იგივე სამთავრობო პორტფელით და პიროვნული თვისებებით“ – წერს ევროპარლამენტარი ანა გომესი ირაკლი ღარიბაშვილის შესახებ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპარლამენტარებს 17 ივლისს შეხვდა. **ნიუსპრესი**

სოსო ცინცაძე: „სააკაშვილს პრეზიდენტობის შანსი 10-15 წლის შემდეგ კიდევ მიეცემა“

თამარ ნინიძე

ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცინცაძესთან

— სააგენტო „პირველისთვის“ მიცემულ კომენტარში თქვენ აცხადებთ, რომ მიხეილ სააკაშვილს აქვს შანსი, 10-15 წლის შემდეგ კვლავ იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე. საინტერესოა, მესამედ აქვს მას ამის უფლება?

— კონსტიტუცია ამას არ კრძალავს, ზედიზედ ორჯერ არა აქვს ამის უფლება, თუმცა ეს უკვე აქტუალური აღარ არის, ვინაიდან ახალი კონსტიტუციის გამო სააკაშვილს პრეზიდენტობა არ დაეინტერესებს, პრემიერმინისტრობა შეუძლია ნებისმიერ წუთს, თუკი მისი პარტია გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში. ის, რაც მარგველაშვილისთვის არის ბროლის ოცნება, სააკაშვილისთვის ეს უინტერესოა, მისთვის საინტერესოა მხოლოდ ის თანამდებობა, რომელიც პირველია ქვეყანაში. მას მხოლოდ პირველკაცობა დაეინტერესებს.

— ალბათ, ყურადღებით აკვირდებოდით ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ სოციოლოგიურ კვლევებს. იქ იყო ისეთი ნიუანსები, რამაც საზოგადოება შეაშფოთა, მაგალითად, 29% მხარს უჭერს მარგველაშვილის გაპრეზიდენტებას, მაშინ როცა 26% პასუხისგან თავს იკავებს. ეს ძალიან დიდი პროცენტია. რა კატეგორიის ამომრჩეველია ეს?

— ეს ის კატეგორიაა, რომელიც გადაწყვეტს არჩევნების შედეგს. ის, რომ არა აქვს პასუხი, უკვე მინუსია ოცნებისა და მისი კანდიდატისთვის. ამ 26%-ს თავისკენ გადაიბირებს თუ არა ივანიშვილი, ასე დგას საკითხი, ან შეიძლება ეს პროცენტი გადაიბიროს, ვთქვათ, ნაცმოძრაობამ ან ბურჯანაძემ. მარგველაშვილი ჩემთვის არ არის საინტერესო პოლიტიკოსი და ძლიერი კანდიდატი. მას არ გააჩნია დამოუკიდებელი რესურსი, მისი მთელი რესურსია ივანიშვილი, ამას დაარქმევენ ადმინისტრაციულ რესურსს თუ გუნდურ რესურსს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ამ 26%-ის გადაბირებისთვის იქნება ბრძოლა. რამდენ პროცენტს მიიღებს ბურჯანაძე, ეს არის საინტერესო და ასევე ის, რამდენ პროცენტს მიიღებს ივანიშვილი. მედიას რომ ჰქონდეს მეტი თავისუფლება, თუნდაც შინაგანი თავისუფლება, გარედან მასზე ზეწოლა უკვე არ არის, მაგრამ მორიდება აქვს, იტყოდა გულახდილად, რომ პრეზიდენტობისთვის იბრძვიან პირადად ივანიშვილი და ბურჯანაძე. ადამიანი, რომელიც არაფერ შუაშია, ის გამოჩნდა მებრძოლ კანდიდატად.

— სალომე ზურაბიშვილი და გიორგი თარგამაძე რომ გამოჩნდნენ, არჩევნების მეორე ტური საჭირო გახდება?

— ალბათ, ამათ გარეშეც, მიუხედავად ჩემი პატივისცემისა თარგამაძისადმი და ჩემი აბსოლუტურად ნულოვანი პატივისცემისა სალომე ზურაბიშვილისადმი, მაისის ღამის სიზმარშიც კი არ მოელანდებათ არათუ პრეზიდენტობა, არამედ სერიოზული რესურსი ელექტორატისგან. მათთვის იქნება ერთი, მაქსიმუმ, ორი პროცენტი. სამომავლოდ მეტი შანსი აქვს თარგამაძეს, ვიდრე ზურაბიშვილს, რომლის შანსიც ნულოვანია. როცა გადადგა მინისტრობიდან, მაშინ აკრიფა რაღაც მხარდაჭერა. ეს იყო მისი ვარსკვლავური საათი, რომელიც მალევე გაქრა. ამის შემდეგ ეს ქალბატონი ცდილობს, ხელოვნურად, სისტემატური წარუმატებლობით იტივტივოს პოლიტიკურ ზედაპირზე.

— ნაცმოძრაობას სურს, რომ დაფიქსირდეს, როგორც ძირითადი ოპოზიცია. როგორ ფიქრობთ, მეორე ტურში ვინ დაუპირისპირდება ერთმანეთს?

— ოცნების დახმარების გარეშე ნაცმოძრაობას არანაირი შანსი არა აქვს.

— ოცნება როგორ უნდა დაეხმაროს ნაცმოძრაობას?

— უამრავი საარჩევნო ტექნოლოგია არსებობს. მთავარია, ვინ უფრო მისაღები იქნება „ქართული ოცნებისთვის“. დღეს ოცნება საერთოდ გამორიცხავს თავისი კანდიდატის დამარცხებას, დგება საკითხი, ოცნებას ვინ უფრო აწყობს მეორე ადგილზე, ქალბატონი ნინო თუ ბაქრაძე? პირადი პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე ვინ უფრო აწყობს, ეს არის დიდი საიდუმლოება, რომელიც ჩემთვის უცნობია, მაგრამ სამი თვის შემდეგ ეს უკვე საყოველთაოდ ცნობილი იქნება.

— რუსეთი გარკვეულ მესიჯებს უგზავნის საქართველოს მოქმედ ხელისუფლებას საოკუპაციო ზოლის გადმოწევით. რუსეთს ხომ არ სურს დიალოგის დაწყება ივანიშვილთან?

— რუსეთს სურს ჩიხში შესული ურთიერთობის გარღვევა, ბუნებრივია, საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით. ეს მესიჯები ქვიშაში მიდის, აქედან უპასუხოდ რჩება, ვინაიდან ჩანს, რომ მმართველი პარტია დარწმუნდა ერთ ჭეშმარიტებაში, რომელსაც ჯიუტად არ ცნობდა, რომ ერთდროულად შეუძლებელია რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება და ნატოსკენ გაწლილი დროშებით სვლა.

— როგორ შეაფასებთ ჩვენი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას როგორც რუსეთთან მიმართებით, ასევე დასავლეთთან?

— ჯერჯერობით მიმდინარეობს ბალანსირება, დღეს შეიძლება ვილაპარაკო მხოლოდ მცდელობებზე ამ ბალანსირებისა. დღეს ხელისუფლება ცდილობს შეუთავსებლის შეთავსებას, შეიძლება, თეორიულად შეთავსებადი იყოს ბალანსი, მაგრამ ამას სჭირდება მაღალი ინტელექტუალური შესაძლებლობები, ამას ახერხებდნენ ბისმარკი და მეტერნიხი, მაგრამ ამას მოახერხებს თუ არა დღევანდელი ქართული დიპლომატია, ეს გაურკვეველია.

— ხელისუფლება ცდილობს, დაამყაროს ნორმალური ურთიერთობა სომხეთთან, მაგრამ ასევე ბაქოს განაწყენება არ სურს. ესეც ბალანის სურვილია?

— მინიატურაში ეს იგივეა, რაც მოსკოვთან და ბრიუსელთან ურთიერთობა. იქ წყდება მთავარი საკითხები, აქაც გადაწყდება.

— ბოლო პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა აღნიშნა, რომ რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის გახსნასთან დაკავშირებით ბევრი საკითხია მოსაგვარებელი. როგორც ჩანს, პრობლემებია ბაქოსთან.

— ხშირად ხდება გაუნაღდებელი ავანსების გაცემა. ზაქარეიშვილმა პრემიერთან შეთანხმებით თუ არა, ეს გაუნაღდებელი თამასუქი საერთაშორისო არენაზე გასცა. მანდ მართლაც უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი. აზერბაიჯანის ინტერესების სრული იგნორირება საქართველოს არ შეუძლია, უნდა იყოს უზარმაზარი არგუმენტი, რომ მეორეხარისხოვანდ ჩავთვალოთ ბაქოს პოზიცია. მაგალითად, ასეთი იყო ლტოლვილების დაბრუნება 1999 წელს, როცა შევარდნაძე და პუტინი შეთანხმდნენ რკინიგზის გახსნაზე. თუ რუსეთი დღეს აიღებს ამ ვალდებულებას ეტაპობრივად ლტოლვილების დაბრუნებაზე, მაშინ შეიძლება ამ რკინიგზის გახსნაზე საუბარი და ბაქოს დარწმუნება.

— მიმდინარე საგარეო ვიზიტებიდან გამომდინარე, თქვენ რა შეგიძლიათ თქვათ, რამდენად სწორად არის დაგეგმილი ვიზიტები?

— ჩემში ეს ვიზიტები გარკვეულ კითხვებს ბადებს. პასუხი ამ კითხვებზე მოსალოდნელია მოკლე ხანში. ამ ეტაპზე შეფასებისგან თავს შევიკავებ, წლის ბოლომდე გვექნება ეფექტი ამ ვიზიტებისგან.

— პრემიერ-მინისტრის პერიოდულად გაკეთებული განცხადებები ხელისუფლების დატოვების და არასამთავრობო სექტორში გადასვლის თაობაზე საზოგადოების შეშფოთებას იწვევს. რამდენად სწორად აქვს შერჩეული დრო წასვლასთან დაკავშირებით ივანიშვილს?

— მე არ ვიწონებ ამ განცხადებას წასვლის თაობაზე. გარკვეული კითხვები გამაჩნია დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, ნაადრევია წასვლა და სერიოზულ რისკებთან არის დაკავშირებული ამ წელს, კოალიციის დაშლა და ოპოზიციური პარტიების ჩამოყალიბება, იქ შეიქმნება ოპოზიციური პარტიები ერთმანეთის მიმართ. ცალკე ყველა ეს პარტია ურეიტინგოა და არის მხოლოდ ტყვიაგაუმტარი ქოლგის ქვეშ, როგორიც არის ივანიშვილის ფაქტორი. პოლიტიკა პერსონიფიცირებულია საქართველოში, რაც საშიშია ქვეყნისთვის.

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვის შესახებ ბევრი პოლიტიკოსი აცხადებს. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?

— გააჩნია, როდის გაიმართება, საპრეზიდენტო არჩევნებიდან ერთი თვის შემდეგ ან ერთი წლის შემდეგ, ეს მაინც ვადამდელი იქნება. თუ მაინც გარდაუვალია, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ დრო უნდა გავიდეს, ორივე არჩევნები ერთად წარმოუდგენელი იქნება. საინტერესოა, მომავალი გაზაფხულისთვის ძალთა თანაფარდობა როგორი იქნება. იქნება თუ არა სტაბილურობა ახალი პრეზიდენტის პირობებში, როგორი იქნება ახალი პრეზიდენტის საქმიანობა. საქმეში უნდა ვნახოთ პრეზიდენტი.

გიზო ჟორდანია: „კონფლიქტი თეატრალური ჭეშმარიტების წყაროა!“

ეკა ირემაშვილი

რეჟისორი გიზო ჟორდანია, ცხელი ზაფხულის მიუხედავად, დასვენებას არ აპირებს და ბათუმის ოპერის თეატრში „კარმენზე“ იწყებს მუშაობას. იგი „ახალი თაობის“ სტუმარია და თავის შემოქმედებასა და განვლილ ცხოვრებაზე გვესაუბრება.

გიზო ჟორდანია:

– ჩემი ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, „ჰაჯი მურატი“, მარჯანიშვილის თეატრში ბევრჯერ არ გვითამაშია. მომავალ თეატრალურ სეზონზე ვითამაშებთ ამ სპექტაკლს. ამ ნაწარმოებში არ არის მხოლოდ რუსეთისა და კავკასიის პრობლემები, ეს მსოფლიო პრობლემებია. შიში, მდუმარების სურვილი სახელმწიფოდან, რომ მისმა მოქალაქემ ხმა არ ამოიღოს, გაჩერებული იყოს, მისი დამონების სურვილი, ერთი ადამიანის მიერ მეორის ჩაგვრის, ერთი ადამიანის მიერ მეორეზე გაბატონების სურვილი – ამაზეა საუბარი ჩვენს სპექტაკლში. ყველა ადამიანმა თავისი ცხოვრების წესით უნდა იცხოვროს. მთაში მეტი თავისუფლებაა და ის ვერ იტანს ნიკოლოზ პირველის რეჟიმს, რომელიც შემდეგ საფუძველი გახდა დიდი რეჟიმების.

– XXI საუკუნეში რატომ მოგინდათ ამ ნაწარმოების დადგმა?

– იმდენი რამეა „ჰაჯი მურატში“ მოგროვლი ადამიანის შესახებ, იმდენი რამ არის დამაფიქრებელი, იმდენი რამეა დღევანდელ ტკივილზე, არ შეიძლებოდა, ეს არ დამედგა. ცხოვრების წესის არსებობის არჩევანი ადამიანმა თვითონ უნდა გააკეთოს და მას არავისი კარნახი არ სჭირდება. ჰაჯი მურატს არც ნიკოლოზის რეჟიმი მოსწონდა და არც შამილის მათრახი. ის ზოგადად ყველანაირი რეჟიმის წინააღმდეგია, მას თავის პატარა კუთხეში თავისუფლად ცხოვრება უნდა. ჰარმონიული ადამიანია, ცოლი უყვარს, თავისი მეოთხე ცოლი სოფია, თანაც იმდენად, რომ ვორონცოვის მეუღლეს შეუყვარდა ჰაჯი მურატი და არ გაცვალა. თითიც არ დააკარა, შეიძლება, ერთი-ორჯერ წაუცდა ხელი, მაგრამ ეგ არ ითვლება, უარი თქვა მასთან ურთიერთობაზე, ეს ჰარმონიულობას ნიშნავს. ჩვენთვის, ხშირ შემთხვევაში, გაუგებარიც არის, რატომ თქვა უარი. ბოლოს ხვდება ჰაჯი მურატი, რომ ვერ მოიპოვებს თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას იმ შევარდენივით, რომელიც სხვა ქვეყანაში გადაფრინდა, იქ დაიწყო ცხოვრება და იქაურმა მჭედელმა ვერცხლის ზანზალაკები დაუკიდა ფეხზე, რომელიც არასოდეს მოშორდება. როცა თავის ქვეყანაში გადმოფრინდა შევარდენი, თავისიანებმა დაკორტნეს ამ ზანზალაკების გამო. გავიხსენოთ სააკაძე, უბედური კაცი იყო, უნიჭიერესი, თავისი შვილის თავი გაწირა სამშობლოსთვის, მან თავიდანვე იცოდა, რომ შვილს ვერ გადაარჩენდა. ჰაჯი მურატსაც ასე მოუვიდა, როცა მიხვდა, რომ უნდა გაექცეს რუსეთს და გადაარჩინოს ოჯახი, არ გამოუვიდა და მოაჭრეს თავი. მას მესამე ძალამ მოაჭრა თავი და თანაც ისე, რომ მისთვის არ დაებრალებინათ, თავისიანს მოაჭრევინა თავი, მისი ტომის კაცს. ესეც იმპერიის დიდი ხრიკია.

– სპექტაკლისთვის ჰაჯი მურატს დიდხანს ეძებდით?

– ამ სპექტაკლში მარტო ჰაჯი მურატი არ არის მთავარი. თუ არ იქნება მისი კონტრშემტევი ძალა, არაფერი გამოვა. თუ კონფლიქტი არ არის დიალოგში, ისე არაფერი გამოვა. საერთოდ, კონფლიქტი არის წყარო თეატრალური ჭეშმარიტების დადგენილების. ყველა პერსონაჟი მნიშვნელოვანია ამ სპექტაკლში, მაგრამ განსაკუთრებით ლევ ტოლსტოი, დიდი კაცი, ბუმბერაზი ადამიანი, რომელიც თავისი მეფის წინააღმდეგ წავიდა და თქვა, ნიკოლოზი არ არის კარგი კაცი და იმიტომაც არ უბეჭდავდნენ ნაწარმოებებს. ღრმად მოხუცებულმა კაცმა დაამთავრა ჰაჯი მურატი, მაგრამ საშინელი ცენზურა გამოიარა. მან სიმართლე დაწერა და ამისთვის დაისაჯა. ამას ხომ თამაში უნდა? უძლიერესი პოლიტიკოსი და უჭკვიანესი კაცი იყო ნიკოლოზ პირველი, ეს უზნეო ადამიანი, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან ნიჭიერი. განა ჰიტლერი ნიჭიერი და დიდი შესაძლებლობების პატრონი არ იყო? მაგრამ შინაგანად ის უზნეო იყო, ლუციფერს ემსახურებოდა, ბარაბას ემსახურებოდა და არა ქრისტეს. ესაა საქმე. პოლიტიკოსის ფსიქოფიზიკა ყოველთვის უნდა იყოს ნორმალური, კაცური, ადამიანური, ქრისტესმიერი. მეორე ადამიანია შამილი, რომელმაც მთის ხალხისგან სახელმწიფო შექმნა, რომელსაც თავისი ფული ჰქონდა, თავისი სასამართლო ჰქონდა, თავისი ციხე ჰქონდა, მაგრამ ამის თავში არა სასამართლო, არამედ თვითონ იდგა, ალბათ, ეს არ იყო სამართლიანი სასამართლო. ეს მეორე უკიდურესობაა. მოიპარა კაცმა ქათმი, ხელს სჭრიან, სიგარეტი მოსწია ან დალია, მეორე ხელს სჭრიან, ეს რა უბედურებაა? აქ ხელმძღვანელობდნენ რელიგიური შეხედულებებით, მაგრამ მთავარი მაინც იყო ეროვნული თავისუფლება და ამ რელიგიას იყენებდა ის. ღმერთმა მაპატიოს, თუ ვაბრალებ. მართალია, მაჰმადის რჯულის წარმომადგენელია შამილი, მაგრამ დიდი კაცი იყო. ჰაჯი მურატს არ უნდოდა ასეთი ცხოვრება და ეწინააღმდეგებოდა. ვეძებე, ვეძებე და ცხვირწინ მყავდა შამილი – გივი ჩუგუაშვილი, რომელიც, ამავე დროს, ნიკოლოზიც არის და თვითონ ტოლსტოიც. რაც შეეხება ჰაჯი მურატს, მას უფრო დიდი ლოდინი სჭირდებოდა და გამოიძერწა ჩემი მოწაფე პაატა ინაური. ჩოხით რომ გამოდიხარ სცენაზე, სულ სხვა პასუხისმგებლობაა, თან ყოველთვის ჩოხა მიაგდებს ხოლმე მსახიობს ცოტა სიყალბისკენ, მთიული გამოგონილი აქცენტისკენ.

– ინაურები მთის ხალხი არიან და პაატას არ უნდა გასჭირვებოდა ამ როლის თამაში.

– ინაურები კი არიან მთის ხალხი, მაგრამ პაატა თბილისელია, თუმცა, სისხლი ხომ თავისას შვრება? ეს ჩოხიანი ბიჭები სიმართლეს ლაპარაკობენ, ეს ორგანულია და ჩოხა, პირიქით, ხაზს უსვამს მათ გულწრფელობას. გივი ჩუგუაშვილთან ვფიქრობდი, გამოსულიყო თუ არა ჩოხით შამილი. იმ ჩოხის ჩაცმას შინაგანი გაძლება სჭირდება და გივიმ მწვანე ჩოხა რომ ჩაიცვა, მოუხდა და მათ ერთმანეთი შეავსეს, თუკი შეიძლება ასე ითქვას. გივი სვიტერში ისეთი არ იქნებოდა. ახლა კი თამაშობენ ზოგი ხალათში, ზოგი პალტოში, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩოხა იყო საჭირო. ბოლოში ტოლსტოი კი უნდა ყოფილიყო შინელით. მგონია, რომ მსახიობებმა კარგად ითამაშეს და მოირგეს როლები.

– როგორ გგონიათ, გაიგო მაყურებელმა თქვენი სათქმელი?

– ბევრი მოდის და მეუბნება, რომ აღელდა, დაფიქრდა, იტირა. ეს კარგია. დღითიდღე ემატება მაყურებელი ამ სპექტაკლს. ის, რაც „ჰაჯი მურატში“ ხდება, დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, ის პრობლემები ჩვენთვის კარგად არის ნაცნობი. საოცრად ნაცნობია დედის ფრაზა, რომელიც ამბობს, შენ, ეი, რას აკეთებ, შამილ, ინგლისი მოგატყუებს, ირანი გაგიცინებს, თურქეთი გულში ჩაგიკრავს, მაგრამ შენ გვერდით არ იომებს, იმიტომ რომ რუსეთთან არ გაიფუჭოს საქმე. მართალია ეს თუ არა? მართალია. დედის როლს თამარ სხირტლაძე არაჩვეულებრივად თამაშობს. ნიკოლოზსაც და ჰიტლერსაც ახალი ჯიშის ადამიანის გამოყვანა უნდოდათ, ეს კი შეუძლებელია. ხურმა არ ვარგა შეჯვარებული და ადამიანი, მით უმეტეს. რომ ამბობენ, დედა არ ვარგა, გადავაგდოთ, მამა არავინ არ არის, ბაბუა არავინ არ არის, ბებია არავინ არ არის, არავინ არაფერი არ არის, რაც ხარ, შენ ხარო, ვინ ხარ? საიდან მოხვედი? იცი, რომ წააგებ? ხომ მართლაც წააგეს? მაგრამ, სანამ წააგეს, შეჭამეს ქვეყანა. ბაღი თუ არ გამარგლე, არაფერი გამოვა, მაგრამ, რომ დაიჭერ ცუღლს და ყველაფერს აჩეხ, იმიტომ რომ შენ დროს არ დაირგო, ეს რა წესია? წააგებ და ეს წაგება ძვირად დუჯდებათ ადამიანებს. ამ რეჟიმის დამკვიდრების სურვილს თან სდევს საზოგადოებაში უთანხმოება და აგრესია. რატომ ხლეჩენ საზოგადოებას? არ ჯობია, ყველა ერთად იყოს – დედა, მამა, შვილი? პატარ-პატარა კონფლიქტები ყველა ოჯახშია და ეს ბუნებრივია. ახალგაზრდა კაცს რომ ეუბნები, მთავარია შენი სამსახური და, თუ კაცი კვდება, გადააბიჯე და წადი სამსახურშიო, განა ადამიანზე დიდი რამე შეუქმნია მსოფლიოს? ის მსოფლიოს გვირგვინია! თუ თანაგრძნობით არ ვიცხოვრეთ, ისე რანი ვართ? გამოვედი ქუჩაში, გაუსაძლის სიცხეში კაცი დავარდნილა, ცხვირიდან სისხლი სდის, გვერდზე ამერიკული სკოლაა, ბავშვები მიდიან-მოდიან და არც ერთმა არ უთხრა, ბაბუა, ბიძია, რა მოგივიდაო, მათი მშობლებიც მიდიან-მოდიან. არ მინდა, რეკლამაში ჩამეთვალოს, მაგრამ გადავირიე ასეთი უყურადღებობით, ცხვირსახოცი მივეცი, დავეხმარე, როგორც შემეძლო. მერე თეატრში ის კაცი ჩემთან მოვიდა, მომესალმა, ფეხზე იყო დამდგარი, მითხრა, ის კაცი ვარ, რომ მიშველეო და შემრცხვა.

– რატომ?

– შემრცხვა იმისი, რომ იქ მეცხრე-მეათე კლასის გოგო-ბიჭები და მათი მშობლები დადიოდნენ და ვითომ არაფერი. ჩემთვის უნდა გამოეგლიჯათ ეს კაცი ხელიდან, არა, ჩვენ მოვუვლითო. ასეთი რამ არ შეიძლება.

– თქვენ მარჯანიშვილის თეატრის ერთგული ხართ?

– ამ თეატრში ვმუშაობ და... მიყვარს ეს თეატრი. ლევანი (წულაძე – ავტ.) კარგი რეჟისორია. ამას ვამბობ, არა როგორც მისი პედაგოგი, არამედ, როგორც რიგითი მაყურებელი და ერთ-ერთი რეჟისორი. ბევრი მოწაფე მყავს, მაგრამ ისე ვერ აკეთებენ იმას, როგორც უნდა გააკეთონ. ასეთზე არ ვიტყვი, რომ კარგად იქცევა, გავჩერდები.

– და არ მიუთითებთ, რომ არ იქცევა კარგად და შეეშალა?

– რა უნდა მივუთითო? იგავ-არაკების საშუალებით შეიძლება ამის გაკეთება, თან შენი თავი უნდა ჩააყენო მის მდგომარეობაში, შენ რომ მისი ტოლი იყავი, შენც გეშლებოდა. შენც ბევრი შეცდომა და შეცოდება დაგრჩა.

– ჯინაზე რამე გაგიკეთებიათ?

– არასოდეს. არც არასოდეს შემშურებია სხვისი. ადამიანმა ის უნდა გააკეთოს, რაც მისი ადეკვატურია და არა ვინმეს ჯინაზე იმოქმედოს. არავის უნდა დაემსგავსო, შენ უნდა იყო შენ და მორჩა! არ უნდა ჩათვალო, რომ ვინც შენთან არ არის, ის შენი მტერია. რანაირად შეიძლება სხვისი აზრი ანადგურო იმიტომ, რომ ის არ ფიქრობს ისე, როგორც შენ გინდა. ეს ადამიანის გადაგვარების მცდელობაა. კომუნისტურმა წყობილებამ ბევრი სიავე მოიტანა, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ არაფერი ვარგოდა. მთელი ქართული კლასიკა ამ პერიოდში შეიქმნა, თუნდაც დახვრეტილი ხალხი ავიღოთ. ამას უფრო ტოლერანტული განხილვა სჭირდება, მარტო იმის ლაპარაკი, რომ ვინც იქით არის, ჩემი არ არის და ვინც აქეთ არის ჩემიაო, ეს არ არის სიმართლე. კონკრეტულ მაგალითს გეტყვით, იცით, დღეს რომ თეატრალური უნივერსიტეტი ამ შენობაშია, ჯუმბერ პატიაშვილის დამსახურებაა? ჩვენს ინსტიტუტს არ ჰქონდა შესაფერისი ტერიტორია, სადაც სასწავლო პროცესს წარმართავდა. ჩვენთან გადოდა „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელიც დავდგი და შემდეგ ამ სპექტაკლში მონაწილე მსახიობები გახდნენ რუსთაველის თეატრის მცირე სცენის მსახიობები. ამ სპექტაკლმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, გახმაურდა, უთხრეს პატიაშვილს, ისიც დაინტერესდა და სპექტაკლის ნახვა მოუნდა. მითხრეს, მოდისო, მაგრამ არავის ეგონა, თუ მოვიდოდა. დაგვიანა 1-2 წუთი, მოვიდა დაბღვერილი და ნახევარ საათში ფოიეში მოგროვდნენ მისი აპარატის თანამშრომლები. ანტრაქტზე არ გამოვიდა გარეთ. სპექტაკლი რომ დამთავრდა, ბოლო გამოვიდა დარბაზიდან და ყველა დაიმალა, ვაითუ არ მოეწონა და გადაგვიარა, აქ სად მომიყვანეთო.

– თქვენც დაიმალეთ?

– დასამალი რა მქონდა, ბავშვები იყვნენ და კარგად ითამაშეს სპექტაკლი. ბატონი ჯუმბერი მოვიდა და მითხრა, არც მეცინება და არც ვტირი, ამ სპექტაკლს რომ ვუყურე, ბევრიც ვიცინე და, შენ წარმოიდგინე, ცრემლიც მომაწვა თვალებში და რა გჭირდებათო. ვუთხარით, რომ არ გვქონდა შესაბამისი ტერიტორია. მოგიგვარებთო, დაგვპირდა. მაშინ ჩვენს შენობაში კულტურის სამინისტრო იყო განთავსებული მესამე და მეოთხე სართულებზე. ჩვენ მხოლოდ მეორე სართულზე ვიყავით და როგორ ვეტეოდით, ახლაც არ ვიცი. საბოლოოდ კულტურის სამინისტრო გადაიყვანეს კაზარიანცის შენობაში და მთელი შენობა მისცეს თეატრალურ ინსტიტუტს. თეატრალურმა კოლექტივმა, ჯგუფმა და ცეკას მდივანმა ერთობლივი შეთანხმებით მოაგვარა ამხელა უნივერსიტეტის პრობლემა. ეს ამბავი ხანდახან მივიწყებას ეძლევა და რატომ არ უნდა ვთქვათ?! ამ ადამიანმა ასეთი სიკეთე გააკეთა და არ უნდა მოვყვე ხოლმე? უძახე ახლა მას კომუნისტი.

– როგორი თაობა მოდის ქართულ თეატრალურ სამყაროში?

– უცნაური ამბავი ხდება. დრამატული თეატრის მსახიობი არ არის უზრუნველყოფილი ადამიანი. ადგილი არ არის ხოლმე თეატრში, ხელფასი პატარაა, უჭირთ, მაგრამ მაინც ზღვა ხალხი აბარებს თეატრალურში. კონკურსის ციფრი ხან აიწევს და ხან დაიწევს, მაგრამ რაღაც თამასაა, რომელიც არასოდეს იწევს დაბლა. ეს ძალიან მიკვირს, შიმშილისთვის განწირული ხალხია, მაგრამ მაინც უნდათ მსახიობობა. კიდევ, იცით, რა არის უცნაური? კაცი აბარებს და თეატრში არ ყოფილა. შეიძლება, ერთი-ორჯერ იყო და ამას ჰქვია, რომ არ დადის თეატრში. ვეკითხები, თეატრში არ ყოფილხარ და რატომ აბარებ თეატრალურში-მეთქი და ამბობენ, რომ უნდათ და მორჩა! ვიღაცის თამაშის და რაღაცის წარმოდგენის სურვილი აქვს ამ ბავშვს ისეთნაირად, რომ არ უნახავს, ამას როგორ აკეთებენ, ეს სისხლში აქვს, გენებში აქვს და მსახიობობა უნდა, სიმღერა უნდა, თამაში უნდა. ჩვენ ხომ თეატრალური ხალხი ვართ – ჩვენი ქორწილი არის თეატრი, ჩვენი პანაშვიდი არის თეატრი, ჩვენი უბედურება არის თეატრი და ჩვენი ბედნიერება არის თეატრი. მთელი ჩვენი ცხოვრება თეატრია, ხალხი კარგად თამაშობს, გენიალურად თამაშობენ მწუხარებასაც და სიხარულსაც.

– იქნებ ვინმეს გამო უნდათ მსახიობობა?

– მარტო ვინმეს გამო მსახიობი ვერ გახდები, ნიჭი უნდა გქონდეს. რუსთაველის თეატრში სალაროში წარწერები იყო, მერაბ (ნინიძე – ავტ.), კიდევ როდის ითამაშებ, რომ გნახოთო და ხელს აწერდნენ. როცა რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გადავიდნენ, ამ ჯგუფის სპექტაკლზე ბილეთი არ იშოვებოდა.

– ოთარ ჯანგიშერაშვილის დასმა აღაფრთოვანა ქართველი საზოგადოება. თქვენ რას იტყვით ამაზე?

– ეს ადამიანი ნიჭიერი და ნოვატორია. სიახლე კი თეატრში ყოველთვის საჭიროა. საოცრად გადმოსცემს სიახლეს, აკეთებს არაჩვეულებრივ ოპუსს და ეს ბუნებრივად ხდება, ის კომედია, რომელიც ჩვენ ვნახეთ, ამის დამადასტურებელია. ის მიხვდა, რომ ასეთი სახის კომედიას სჭირდება რუსთაველის თეატრში გამაძლიერებელი და სადღაც ჩაუყენა მსახიობებს და საკმაოდ ორიგინალური სანახავი იყო. იმ წარმოდგენისთვის რუსთაველის თეატრში სწორი გადაწყვეტილება იყო. ყველაფერი არაჩვეულებრივად ისმოდა, ცოტა თავში გირახუნებდა ტექსტი და ეს რახუნიც საჭირო იყო. შეიძლება, ბევრი რამის გაკეთება გინდოდეს ადამიანს, მაგრამ ვერ გააკეთო მრავალი მიზეზის გამო, ოთარი ამ ნოვაციების დანერგვის ოსტატია. ძალიან მაგარი ბიჭია. როცა წავედი საოპერო თეატრიდან, ჩავთვალე, რომ ჩემი მისია იმ ეტაპზე ამოვწურე. ოთარ თაქთაქიშვილი ძალიან გაბრაზებული იყო ჩემზე, არ უნდოდა, რომ წავსულიყავი, მაგრამ გადაწყვეტილების შეცვლა არც მე მინდოდა. არც ერთმა წინადადებამ არ მომხიბლა, რომ იქ დავრჩენილიყავი. იმ პერიოდში ბატონმა გიგა ლორთქიფანიძემ შემომთავაზა მარჯანიშვილის თეატრში მუშაობა, თვითონ გადაღებებზე მიდიოდა და იყავი მთავარი რეჟისორი, იმუშავე, ოღონდ დირექტორობა არ მოინდომო, მანდ მე ვარ დირექტორიო. გიგას საოცარი იუმორი ჰქონდა. რისკიანი კაცი იყო, მანდო თავისი თეატრი. რეჟისორს რომ შეუშვებ თეატრში, ეს ერთგვარი რისკია. ამაზე არ წავედი. კაკო ბაქრაძეც მეძახდა რუსთაველის თეატრში. ამ დროს გამოჩნდა გრიბოედოვის თეატრი, იქაც ხელოვნური ბარიერი შემიქმნეს, რომ არ მივსულიყავი. არსად არ უნდა წავსულიყავი, უნდა დავრჩენილიყავი ოპერის თეატრში. ამ პერიოდში ტოვსტონოგოვი მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ და გრიბოედოვის თეატრი ცარიელი იყო. საკონფლიქტო ადგილი არ იყო, ამიტომ უფრო იქით გამიწია გულმა. არც გრიბოედოვის თეატრი იყო მარტივი, თუ არ მოეწონებოდი, ეგრევე აგაფეთქებდნენ. გიგას რომ ვუთხარი, გრიბოედოვის თეატრში მივდივარ სამუშაოდ-მეთქი, მითხრა, არა უშავს, მანდ ორი „სროკი“ მოვიხადეო. ყველანაირად ცდილობდა ბატონი ოთარ თაქთაქიშვილი, რომ დავეტოვებინე ოპერის თეატრში. მაშინ ბატონი ოთარი კულტურის მინისტრი იყო. დამიბარეს, მივედი, ოთარმა თქვა, მოლაპარაკება მქონდა ოთარ ჯანგიშერაშვილთან, რომელიც რუსეთში ძალიან წარმატებულად მუშაობსო. მინდოდა, აქ ჩამოსულიყო და ემუშავაო. მდივანი შემოვიდა და თქვა, ჯანგიშერაშვილი აქ არის, ჩამოსულაო. შემოვიდა და თქვა, დიდი მადლობა, ბატონო ოთარ, ასეთი პატივი რომ დამდეთ და გრიბოედოვის თეატრში მომიწვიეთ, მაგრამ ბატონი გიზო უმუშევარია და მე ამას ვერ გავაკეთებ, ბოდიში უნდა მოგიხადოთო. ეს თქვა, ოთარ თაქთაქიშვილს არ აცალა პასუხის გაცემა, მოტრიალდა და წავიდა. ეს გააკეთა ოთარ ჯანგიშერაშვილმა ჩემ მიმართ. ეს როგორ არ უნდა მახსოვდეს?

– ახალ თეატრალურ სეზონზე რას შემოგვთავაზებთ?

– არსებობს პროექტი, ეს უნდა განხორციელდეს ბათუმში, ოპერის თეატრში. მიწვეული ვარ და უნდა დავდგა „კარმენი“. მუშაობას ზაფხულში დავიწყებთ, რომ პრემიერა შემოდგომაზე ვითამაშოთ.

– თბილისიდან წაიყვანთ ვინმეს?

– მთლად გამოხუხული ბათუმელები არ არიან იქაც, ბევრი თბილისიდან არის წასული. როცა ეს თეატრი გაიხსნა, დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ხალხი დადიოდა და იყო მაღალი კლასის სპექტაკლები.

– რატომ „კარმენი“?

– ეს მათი დაკვეთაა.

– ხომ არ გეშინიათ?

– მე არ მეშინია, იმათ არ ეშინიათ და... ისე, შიში ყოველთვის ცუდი კი არ არის. ელისაბედ დედოფალმა შიშის ფასი იცოდა. მას ყოველთვის ეშინოდა ხალხის და მის დაკვეთას ასრულებდა, ამიტომ უყვარდა იგი ხალხს, თორემ მარიამ სტიუარტი დაახრჩო. ის ხალხის იმ დაკვეთას ასრულებდა, რომელიც სამართლიანი იყო. თავის შინაგან სურვილებს გადალახავდა, მონარქი იყო, მისი სიტყვა კანონი იყო, მაგრამ ხანდახან სიტყვა უკან მიჰქონდა და ისე აკეთებდა, როგორც ხალხს სურდა, იმიტომ რომ ხალხით სუნთქავს ქვეყანა. კი არ მეშინია, ეს ერთგვარი რისკია, მაგრამ არის იქ ერთი გოგო, ინგა ჯახუტაშვილი, რომელიც ამის გამკეთებელია და ის ჩემი კარმენია. არის ხოზე, ახალგაზრდა ბიჭი ირაკლი კახიძე, რომელიც ხოზეს გამკეთებელია. არავინ არ იყო, როცა „აბესალომ და ეთერი“ დავდგით. იქაური გუნდი დაკომპლექტებული იყო სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგან, იქ იყო მძღოლი, მეთევზე, პარიკმახერი, ექიმი, ინჟინერი. იმ გუნდმა ისეთი რამეები გააკეთა, ბევრმა დაიტრაბახოს. აკეთებდნენ ყველაფერს, რასაც ვეუბნებოდით.

– ჩამოიტანთ ამ სპექტაკლს თბილისში?

– ალბათ. „კარმენი“ ფაქიზი და რთული სამუშაოა. სპექტაკლის დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი იქნება. ბრწყინვალე დირიჟორია ზაზა. როგორ მოიშორეს ოპერიდან ეს ბიჭი?! ხომ არ ვამბობთ, რომ მაგაზე დიდი არავინ არის, მაგრამ რატომ მოექცნენ ასე? არაფერი არ სჭირდა იმისა, რომ იქიდან სრულიად უსამართლოდ, ყოველგვარი მიზეზის გარეშე გამოუშვეს. კონცერტზე ვიყავი მიწვეული, მივედი, სალარო დაკეტილი დამხვდა, მითხრეს, აღარ არის კონცერტიო. თანამდებობიდან მოხსენით, მაგრამ ჯოხი რატომ წაართვით? კონცერტმა და ხალხმა რა დააშავა? დირიჟორის გათავისუფლება უნდა იყოს მისი შემოქმედებითი კრახი, რომ პოსტიდან მოხსნა. ამისგან კი შორს იყო ზაზა აზმაიფარაშვილი. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, ან რატომ გაათავისუფლეს ეს ადამიანი, ან ახლა რატომ არ მიჰყავთ თეატრში.

ნიკოლოზ ანდრიაძე: შევეცდებით, საქართველოს კარგი სპორტსმენები და ადამიანები ვაჩუქოთ

2010 წელს ტიციან ტაბიძის სახელობის 43-ე საჯარო სკოლაში მსოფლიო ჩემპიონის, ნიკოლოზ ანდრიაძის სახელობის ფარიკაობის კლუბი შეიქმნა. საკლუბო სისტემა საქართველოში ახალი ხილია, არადა მთელ მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა.

პირველივე დღიდან ხმლით მოფარიკავე გოგონებსა და ბიჭუნებს ქეთევან ერემეიშვილი და აწ გარდაცვლილი გიორგი პაიჭაძე წვრთნიდნენ. მათმა შრომამ ნაყოფი მალევე გამოიღო. 2012 წელს ნიკა შენგელიამ ანკარაში გამართული ვაჟთა საერთაშორისო ტურნირიდან ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა, ანი აფრასიძემ კი აფხაზეთის საერთაშორისო ტურნირი მოიგო, რომელიც თბილისში გამართა.

კლუბის წევრების პირველი გასვლა დიდ ფორუმზე ახლახან შედგა. იტალიის ქალაქ რაიანოში ჩატარდა მსოფლიოს ჩემპიონატი 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის. აფრასიძემ მძიმე ბრძოლებში შეძლო ბრინჯაოს მედლის ჩამოტანა, ხოლო შენგელიას მედლამდე ერთი მოგება დააკლდა და მე-6 ადგილს დასჯერდა.

ანი აფრასიძე:

– მოგებისთვის ვიბრძოდი, მაგრამ ცოტა დამაკლდა ჩემპიონობამდე. სულ სხვანაირი ტაქტიკით მეფარიკავებოდნენ, მაგრამ მალე ავუღე ალღო, სტილი შევცვალე და მედლის მოპოვება მაინც მოვახერხე.

ქეთევან ერემეიშვილი:

– ძალიან პერსპექტიული თაობა მოდის და ყურადღება სჭირდებათ. ეს ბავშვები ჩვენთან პირველივე დღიდან არიან. თავიდანვე პატარა კასტინგივით მოვაწყვეთ და შემდეგ შევარჩიეთ მათგან ჩვენთვის სასურველი ბავშვები. შეიძლება ითქვას, რომ უკვე წარმატებულები არიან და თუ ბევრს იშრომებენ, ყველაფერს მიაღწევენ. სპორტის ეს სახეობა ელიტარულად ითვლება და ძალიან ბევრ დადებით თვისებას მოითხოვს. ამიტომაც, არ უნდა დაიზარონ და უნდა იმუშაონ. ანის და ნიკას გარდა კიდევ გვყავს რამდენიმე პერსპექტიული მოფარიკავე – მარიამ აფციაური და ელენე ნანობაშვილი. საქართველოს კადეტთა ნაკრების წევრები თითქმის ჩვენი კლუბის აღსაზრდელებით არის დაკომპლექტებული.

ნიკოლოზ ანდრიაძე:

– საკლუბო სპორტი მთელ მსოფლიოში მიღებულია. საქართველოში პირველი ჩვენ შევქმენით და იმედი გვაქვს, კიდევ შემოგვიერთდებიან. ახლა დაგეგმილი გვაქვს შეხვედრები ინგლისის, იტალიის, ჩინეთის, თურქეთის, ქუვეითის, ირანის სხვადასხვა კლუბებთან. ჩვენ მათთან მჭიდრო კონტაქტები გვაქვს და მათთან თანამშრომლობა გვინდა. ეს ახალგაზრდებისთვის არა მარტო დიდი სტიმულია, არამედ განვითარებისთვის და გამოცდილების მისაღებად აუცილებელიც კია. გარდა ამისა, გვინდა ჩვენი კლუბის ბავშვებისგან სხვებმაც აიღონ მაგალითი და სპორტით დაკავდნენ. მთავარი სურვილი კი დიდი ჩემპიონების გაზრდაა და მწვრთნელები ცდილობენ ყველაფერი შეასწავლონ შეგირდებს. გარკვეულწილად გვეხმარება ფედერაცია და მისი პრეზიდენტი არჩილ გოგელია, რომელმაც იტალიიდან ჩამოსვლის შემდეგ ანისა და ნიკას საქართველოს ნაკრების ეკიპირება აჩუქა. ჩვენი კლუბი მუდმივად შეეცდება საქართველოს კარგი სპორტსმენები და ადამიანები აჩუქოს.

ალექსანდრე იაშვილი: გერმანიასა და ამერიკას აზერბაიჯანი ვარჩიე

ბაქოს „ინტერის“ შემტევის ალექსანდრე იაშვილის ინტერვიუ აზერბაიჯანულ მედიაში გამოქვეყნდა.

– ევროპის ლიგაში „ინტერის“ შემადგენლობაში უკვე ორი (მესამეც ითამაშა ტრომსოსთან) ოფიციალური მატჩი ჩაატარეთ ფინური „მარიეჰამნის“ წინააღმდეგ. გუნდისა და საკუთარ თამაშს როგორ შეაფასებთ?

–ჩემი აზრით, მეორე მატჩი უკეთესად ჩავატარეთ, ვიდრე პირველი. თანდათან ვუმატებთ. ჩემთვის „ინტერი“ ახალი გუნდია და მის თამაშთან შესაგუებლად დრო მჭირდება. ამიტომ, ყველაფერი არ გამომდის.

– „ინტერში“ გადასვლის ვარიანტი როგორ წარმოიშვა?

– კახაბერ ცხადაძესთან ერთად საქართველოს ნაკრებში მითამაშია. მას დიდ პატივს ვცემ. როდესაც ცხადაძემ წინადადებით მომმართა, მაშინვე დავთანხმდი. მქონდა კარიერის გერმანიასა და აშშ-ში გაგრძელების ვარიანტები. კერძოდ, მლსის კლუბი „ჩიკაგო ფაიი“ მეპატიჟებოდა. თუმცა, კახასთან მუშაობა მაინტერესებდა და მაშინვე დავთანხმდი.

–„ინტერის“ ქართველ ფეხბურთელებს ეკონტაქტებოდით? აზერბაიჯანში ჩასვლამდე გუნდის შესახებ რაიმე ინფორმაცია შეიტყვეთ?

– რა თქმა უნდა. ვიცოდი, რომ აქ ჩემი თანამემამულეები თამაშობდნენ. მაგალითად, გიორგი ლომაია. ძალიან გამიხარდა, როდესაც „ინტერი“ აზერბაიჯანის ჩემპიონი გახდა.

–გერმანიის ჩემპიონატის შემდეგ, სადაც „ფრაიბურგში“, „კარლსრუესა“ და „ბოხუმში“ მაღალ დონეზე თამაშობდით, აზერბაიჯანის ჩემპიონატს მიაშურეთ. კარიერაში ძალიან მკვეთრი გადახვევა ხომ არ არის?

– რა თქმა უნდა, გერმანულ და აზერბაიჯანულ ფეხბურთს შორის დიდი განსხვავებაა. გერმანიის ჩემპიონატი ევროპასა და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესია. თუნდაც, ის ფაქტი გავიხსენოთ, რომ განვლილი ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორმა გერმანულმა გუნდმა ითამაშა. თუმცა, აზერბაიჯანული ფეხბურთი ადგილზე არ დგას და ყოველ წელს ძლიერდება. ცხადია, განვითარებისთვის კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

– ოჯახს ბაქოში ჩამოიყვანთ?

– არა. ოჯახი გერმანიაში დარჩება, რადგან ბავშვები სკოლაში იქ დადიან.

– „ინტერს“ წარმატება რამ უნდა მოუტანოს?

– ჩვენი თამაში უნდა ვითამაშოთ. უნდა შევეცადოთ ისე ვითამაშოთ, როგორც ფინეთში.

– უეფამ პირველი მატჩი ბაქოდან ტრომსიოში გადაიტანა. ალბათ, ორრაუნდიან ბრძოლაში პირველი შეხვედრის სტუმრად ჩატარება უკეთესია...

– სტუმრად პირველი თამაშის ჩატარება უფრო მოსახერხებელია. თუმცა, მაინც ორი მატჩია სათამაშო. ისე უნდა გავაკეთოთ, რომ პირველი შეხვედრის მერე, შემდეგ რაუნდში გასვლის კარგი შანსი დაგვრჩეს.

პ.ს. „ინტერმა“ პირველი მატჩი სტუმრად 2:0 წააგო.

გორის დილა – დანიელთა რისხვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დილი და ძლიერი მეტოქე დაამარცხეს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას რამდენიმე დამატებითი ფაქტორიც სძენს.

ალბათ ყველას გახსოვთ გასული სეზონის ბოლოს „დილაში“ შექმნილი ფინანსური სიტუაცია, რასაც კლუბიდან წამყვან ფეხბურთელთა, მათ შორის, მთავარი მწვრთნელის წასვლა მოჰყვა. შესაბამისად, ახალ სეზონს გუნდი ახალი დამრიგებლით და ფაქტობრივად ახალი გუნდით შეხვდა – სწორედ აღნიშნული დაპირისპირების წინ წარადგინა კლუბმა ერთბაშად 10 ახალი ფეხბურთელი. თუმცა, გიორგი დევდარიანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუშინ „მიხეილ მესხზე“ „დილას“ ახალი და შეუთამაშებელი გუნდის არაფერი ეტყობოდა.

აღსანიშნავია, რომ გორელები უკვე მეორე წელია ზედიზედ ხვდებიან დანიურ კლუბებს და 3 მატჩში უკვე 3 გამარჯვება აქვთ.

მატჩი ნამდვილად კარგი საყურებელი გამოდგა, რაზეც ორივე კართან სახიფათო მომენტების სიმრავლე მეტყველებს, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, თუ ვინმე გუშინ გამარჯვებას იმსახურებდა, ეს „დილა“ იყო.

დევდარიანმა 3 ცენტრალური მცველით თამაში არჩია: ოდნავ ფლანგებზე იყვნენ მამუკა კობახიძე და გულვერდ თომაშვილი, შუაში კი გამოცდილი ოთარ ხიზანეიშვილი დადგა. მთლიანად ფლანგებზე კახა ალადაშვილი და გიორგი გურული თამაშობდნენ, თუმცა ისინი ხან მცველებად, ხანაც ნახევარმცველებად გვევლინებოდნენ. ანუ, როცა „ოლბორგი“ უტევდა, ქართველთა დაცვა 5 კაციანი ხდებოდა.

ნახევარდაცვის ცენტრში ლაშა გვალია და დავით ბოლქვაძე მოქმედებდნენ, მარცხნივ გიორგი ილურიძე, მარჯვნივ – გრიგოლ დოლიძე. ერთადერთი ფორვარდი ირაკლი მოდებაძე იყო, თუმცა გორელთა შემადგენლობას და ტაქტიკას უფრო შემტევი ეთქმოდა.

პირველი მეტ-ნაკლები სახიფათო იერიში „დილასი“ იყო – ალადაშვილის ფლანგური ჩაწოდების შემდეგ, თავით ილურიძე ურტყამდა, თუმცა დარტყმა სუსტი იყო და მეკარეს მისი ხელებში დაჭერა არ გასჭირვებია.

მე-9 წუთზე მასპინძელთა დაცვის ხაზს სახიფათო იერიში გამოეპარა და ფრედრიკსენის საჯარიმოდან დარტყმული ნუკრი რევიშვილმა მოიგერია.

ამის შემდეგ ისევ ჩვენ საჯარიმოში ჩამოცხა და ფრედრიკსენმა ახლო მანძილიდან 100-პროცენტიანი შანსი გაუშვა ხელიდან – ბურთი კარს ასცდა. მალევე, ამჯერად ფრედრიკსენის ჩაწოდებულს კურტი გზავნიდა კარში თავით, მაგრამ რევიშვილმა სასწაულებრივი რეაქცია გამოავლინა და კარის ხაზზე მოიგერია ბურთი.

ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდი ცდილობდა შეტევას, ამ მხრივ უფრო გორელები გამოირჩეოდნენ, თუმცა საგოლე ეპიზოდამდე საქმე აღარ მისულა.

მეორე ტაიმი კი გაცილებით საინტერესოდ ჩაიარა და, რაც მთავარია, სასიამოვნოდ შედეგიანი აღმოჩნდა. 54-ე წუთზე გოლის გატანის რეალური შანსი ილურიძემ გაუშვა ხელიდან, როდესაც პირისპირ გასული თავზე უგდებდა სტუმართა მეკარეს, მაგრამ ბურთი სულ მცირედით ასცდა კარს. ამ მომენტმა გორელებს ფრთები შეასხა და შეტევაშიც უფრო აქტიურად გადავიდნენ, რასაც 62-ე წუთზე ლოგიკური დასასრული მოჰყვა: მასპინძელთა რიგებში ერთ-ერთმა ყველაზე გამორჩეულმა ფეხბურთელმა, ირაკლი მოდებაძემ ბურთი მეკარის საჯარიმოში კარისკენ ზურგით მდგომმა მიიღო, მცველი ტექნიკური მოძრაობით სულ მცირედით ჩამოიცილა, რაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ ლარსენისთვის აუღებელი დაერტყა – 1:0.

დევდარიანმა გოლის გატანამდე დაგეგმილი ცვლილება მაინც განახორციელა და დოლიძის ნაცვლად მოედანზე მიხელ გორელიშვილი შეუშვა. ეს ცვლილება დანიელთათვის მკვლელი გამოდგა.

ახალგაზრდა ფეხბურთელი აქტიურად ჩაება თამაშში და შეცვლიდან 5 წუთში გოლიც გაიტანა. თუმცა, მანამდე „მიხეილ მესხზე“ შეკრებილი მცირე აუდიტორია ლამის საფეხბურთო შედევრის მომსწრე გახდა. ილურიძემ ფაქტობრივად მოედნის ცენტრიდან საოცარი სოლო რეიდი განახორციელა და მეკარესთან პირისპირ ისე აღმოჩნდა, დანიელი მცველები აზრზე ვერ მოვიდნენ, თუმცა ბოლო მომენტში მეკარემ საკუთარი კარი იხსნა, ჩვენ კი შედეგრის ბოლომდე ნახვის საშუალება არ მოგვეცა. თუმცა, გოლი მალევე გავიდა და როგორც აღვნიშნეთ, მისი ავტორი მიხეილ გორელიშვილი იყო – 2:0.

სხვაობა უკვე სოლიდური გახდა და სტუმრები იძულებულნი იყვნენ, შეტევაზე ეფიქრათ, თუმცა მთელი მათი შემტევი კრეატივი საჯარიმოში ჩაწოდებებს ვერ გასცდა, იქ კი „დილას“ ცენტრალური მცველები ყოჩაღობდნენ.

მესამე გოლი ისევ დანიელთა კარში გავიდა და მისი ავტორი კვლავ მიხეილ გორელიშვილი გახდა. მატჩის 90-ე წუთზე შეცვლაზე შემოსულმა გიორგი აბურჯანიამ საჯარიმოში ბრწყინვალე პასი შეაყოლა „დილას“ მე-9 ნომერს და ამ უკანასკნელმაც აუღელვებლად დაასრულა „ოლბორგის“ რბევა – 3:0.

მატჩის შემდეგ

გიორგი დევდარიანი, „დილას“ მწვრთნელი:

– რომ გითხრათ, ასეთი ანგარიშით მოგებას ველოდი-მეთქი, მართალი არ ვიქნები. ყველა ფეხბურთელს დიდ მადლობას ვუხდი. მატჩამდე ინტერვიუში ვთქვი, რომ ჩვენს შანსს ბოლომდე უნდა დავლოდებოდით და მოთმინება გამოგვეჩინა. შეამჩნევდით, მეტოქეს მათ მესამედზე არ ვხვდებოდით, რადგან კონტრშეტევებზე ძლიერია „ოლბორგი“.

– გორელიშვილის შესვლამ „დილას“ თამაში გააძლიერა. რა დავალება მიეცით მას?

– ჩვენ ველოდით, რომ დოლიძე დაიღლებოდა და მის ნაცვლად გორელიშვილი უნდა შეგვეყვანა. ახლა რომ ვთქვა, ვიცოდი, გორელიშვილი ორ გოლს გაიტანდა-მეთქი, აქ ნამდვილად არ ვიქნებოდი.

– სხვათა შორის, კარგად შემოვიდა შეცვლაზე აბურჯანიაც.

– რატომ სხვათა შორის? აბურჯანია მართლაც კარგი ბიჭია და მისი იმედი მაქვს.

– რატი ალექსიძე ერთი ტაიმის სათამაშოდ მზად არის?

– რომ შეეძლოს, ერთ ტაიმს ვათამაშებდი. რატიმაც სული და გული ჩადო იმ წუთებში, რაც მოედანზე გაატარა.

– ყველაზე მეტად რამ განაპირობა „დილას“ ასეთი გამარჯვება?

– დიდ წილად განაპირობა დანიელთა მგზავრობამ და მათთვის არასასურველმა ამინდმა. დაიღალნენ. ასე რომ, ახლავე ვამბობ, „ოლბორგი“ დანიაში სხვაგვარად ითამაშებს და არ უნდა მოვდუნდეთ. 3:0 მოვიგეთ, მაგრამ შემდეგ ეტაპზე ჯერ არ გავსულვართ.

–ალექსანდრე კვახაძე რატომ არ იყო განაცხადში?

– ტრავმა აქვს. დანიაში ითამაშებს თუ არა, ჯერ ვერ გეტყვით. წესით, უნდა გამოჯანმრთელდეს. დღეს „დილამ“ ისე ითამაშა, რომ დავინახე, გუნდში საკმაო კონკურენციაა. კვახაძე კაპიტანია და მასაც კონკურენცია უწევს.

– გამოჩნდა, რომ ფიზიკურად „ოლბორგი“ უკეთაა მომზადებული. საერთოდ, ეს ქართული გუნდების აქილევსის ქუსლია. რატომ?

–მარტივი ასახსნელია. „ოლბორგის“ ეს შემადგენლობა, ორი-სამი კაცის გამოკლებით, 5 წელია ერთადაა. საერთოდ, ევროპის ნებისმიერ ასე თუ ისე ნორმალურ კლუბში ბირთვს ინარჩუნებენ, სეზონის შემდეგ ერთ ან ორ ფეხბურთელს უშვებენ და არანაკლები მოჰყავთ. ჩვენთან კი არ იცი, 6 თვის მერე რა მოხდება. გადავხედოთ ქართულ კლუბებს: თბილისის „დინამოს“ გარდა, არავინ იცის, 6 თვის თუ ერთი წლის შემდეგ როგორ იქნებიან. კიდევ, ქუთაისის „ტორპედომ“ იცის, რასაც აკეთებს. სხვა? და როცა შემადგენლობა წამდაუწუმ იცვლება, როცა სეზონში სამი მწვრთნელი იცვლება და ფეხბურთელს ყველა სხვადასხვა დავალებებს აძლევს, ეს თავისთავად მოქმედებს ფიზიკურ მომზადებაზე. დღევანდელი 3:0 თავისთავად მოულოდნელობაა. ჩვენ ძალიან მცირე დრო გვქონდა მოსამზადებლად, „ოლბორგს“ კი შეთამაშების პრობლემა არ აქვს.

კენტ ნილსენი, „ოლბორგის“ მწვრთნელი:

–ძალიან იმედგაცრუებული ვარ. „დილამ“ კარგად ითამაშა, ჩვენ კი ბევრი შეცდომა დავუშვით. ჩემი აზრით, გოლებიც სწორედ ჩვენი შეცდომების შედეგად გავიდა. ვეცდებით, შინ ბოლომდე ვიბრძოლოთ. „ოლბორგი“ დიდი ისტორიის მქონე კლუბია, მაგრამ დღესდღეობით ეს გუნდი მაინც ახალგაზრდულია და თამაში დასახვეწი აქვს.

თუნი (შვეიცარია) – ჩიხურა (საქართველო) 2:0

თუნი. არენა თუნი

1:0 სანოგო ჟუნიორი (12), 2:0 სკირინცი (38)

თუნი: მოზერი, სულმონი, რაინმანი, ვიტვერი, ლუტი, ჰედიგერი, სკირინცი, სალამანი (გასერი 83), სანოგო ჟუნიორი, მარტინესი (კასიო 68), შნოივლი (სადიკი 59)

ჩიხურა: სომხიშვილი, ჩიკვაიძე (ქიმაძე 46), კაშია, რეხვიაშვილი, ჯიღაური, ლომაშვილი, დათუნაიშვილი, ბეჭვაია, ოდიკაძე, წინამძღვრიშვილი (გოგატიშვილი 86), დეკანოიძე

ზემოიმერლები ამ წყვილის აუტსაიდერებად რომ ითვლებოდნენ, ეს გასაკვირიც არ არის. „ჩიხურა“ არა მარტო ევროტურნირების დებიუტანტები არიან, საქართველოს ჩემპიონატებიც მხოლოდ 2-ჯერ უასპარეზიათ უმაღლეს ლიგაში. მართალია, შემადგენლობაში ისეთი ფეხბურთელებიც ჰყავთ, რომელთაც არც ერთი და არც მეორე გამოცდილება აკლიათ, მაგრამ...

„ჩიხურა“ „ვადუცთან“ გამარჯვების შემდეგ საქართველოში არ დაბრუნებულა. გუნდმა ავსტრიაში გაგრძელა მზადება და 16 ივლისს ჩავიდა შვეიცარიაში.

თუ სტატისტიკით ვიმსჯელებთ, მეტოქეს დიდად არ უჯობნია: კარში დარტყმები 7:5, კუთხურები – 4:2, ჯარიმები – 14:17, ყვითელი ბარათები – 2:3. და რაც მთავარია, ორივე მეკარეს 5-5 სეივი უწერიათ, ანუ მასპინძლებმა ჩვენზე ცოტა მეტი და უფრო ზუსტად დაარტყეს, რამაც განაპირობა მატჩის ბედი.

პირველი სახიფათო მომენტიც საჩხერელებმა შექმნეს: მე-8 წუთზე, რატი წინამძღვრიშვილმა ბურთი ხარიხას გაარტყა. მე-12 წუთზე კი, თუნელებმა გახსნეს ანგარიში, კოტდივუარელმა სანოგო ჟუნიორმა თავისი შანსი ხელიდან არ გაუშვა. ტაიმის ბოლოს, მასპინძლებმა მეორეც გაიტანეს, გოლი იტალიელმა ენრიკო სკირინციმ გაიტანა.

მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა. მასპინძლები მეტს უტევდნენ, სტუმრები თავის უკეთ დაცვას ცდილობდნენ.

„კათარზისზე“ მოთხოვნა რაიონებშიც იზრდება

მერი ნამორაძე

ზაფხულის სიცხე სათნოების სახლ „კათარზისის“ ბენეფიციარებსაც ამცირებს. უფრო სწორად ბენეფიციარობის ახალ კანდიდატებზე უფრო მეტად მოქმედებს, რომლებიც საშემოდგომოდ გადაავადებენ ხოლმე სათნოების სახლში სტუმრობას. როგორც „კათარზისის“ ხელმძღვანელი, ზაურ ალადაშვილი აღნიშნავს, მათ ორგანიზაციაზე მოთხოვნა რეგიონებშიც დიდია, თუმცა, დახმარების გაწევის შესაძლებლობა ყველგან თანაბარი არ არის.

ზაურ ალადაშვილი:

– ბენეფიციართა გარკვეული რაოდენობა, რომლებიც ჩვენთან მოდის, არ არის თბილისელი, რაიონის მცხოვრებია და ზაფხულში აქვს შესაძლებლობა მშობლიურ კერასთან დაბრუნდეს. ასე რომ, ზაფხულში ბენეფიციართა რაოდენობა ნამდვილად იკლებს, ისე როგორც იკლებს პატრულის მიერ მოყვანილი იმ ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ღამის გასათევი არსად აქვთ.

– თბილისის „კათარზისი“ რამდენ ადამიანს აპურებს დღეისათვის, ბატონო ზაურ?

– თბილისის „კათარზისი“ 310 ადამიანს ეხმარება ყოველდღიურად. 14 ქალბატონი განთავსებულია თავშესაფარში. 19 მწოლიარე ადამიანს მიეწოდება პროდუქტების პაკეტი თვეში ერთხელ. 98 ადამიანს წელიწადში ორჯერ მიეწოდება დახმარების პაკეტი საღდგომოდ და საშობაოდ. ეს არის საკმაოდ კარგი მოცულობითი პაკეტი.

– მარტოხელა რამდენი პროცენტია მათ შორის?

– დაახლოებით 80-85 პროცენტის ფარგლებში მერყობს.

– როცა ჯანმრთელობის პრობლემა აქვთ მათ, თქვენ რამდენად გაქვთ დახმარების შესაძლებლობა?

– ღვთის მადლით, ყველა პენსიონერ ადამიანს აქვს პოლისი, ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პოლისი, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს დაცულნი იყვნენ ჯანმრთელობის მხრივ. თუმცა, აქ არის სერიოზული მინუსი, რადგან ისეთი ანალიზები, როგორიცაა, კარდიოგრამები, ტომოგრაფიები, ექოსკოპიები არ გახლავთ გათვალისწინებული სადაზღვევო პაკეტით. მათი გაკეთების საშუალება ჩვენს ბენეფიციარებს არ აქვთ და მოგვმართავენ დახმარების თხოვნით. როდესაც შესაძლებლობა აქვს „კათარზისს“ ფულით ვეხმარებით, ან ვთხოვთ ორგანიზაციებს უფასოდ აღმოუჩინონ მათ ეს დახმარება და ასეთი ფორმით ვცდილობთ გავიდეთ ფონს. ვერ გეტყვით, რომ ყველა თხოვნის გათვალისწინებას ვახერხებთ ამ მიმართულებით, ან ჩვენი მიმართვა ყოველთვის პოზიტიურად სრულდება, როცა სამედიცინო დაწესებულებებს მივმართავთ.

– საკვები პროდუქტების დეფიციტს ხომ არ განიცდით?

– არა, არ დგას ეს პრობლემა დღეისათვის. „კათარზისი“ კარგა ხნის ორგანიზაცია გახლავთ და წლების განმავლობაში მრავალი მეგობარი ორგანიზაცია დაგვიგროვდა, რომლებიც ცდილობენ დაგვეხმარონ. ჩვენი ყოველდღიური სადილი 385 ლარი ჯდება. ერთი დღის დაფინანსების თხოვნით როცა მივმართავთ ორგანიზაციებს, ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, თუ შესაძლებლობა აქვთ, გვერდში დაგვიდგნენ. მიუხედავად იმისა, რომ ეხლა ზაფხულია, მკვდარი სეზონია, დახმარების მსურველთა რაოდენობა იკლებს, ადრე შემოსული თანხების დანაზოგი საშუალებას გვაძლევს დღეს გამოვიყენოთ, რაც იმედია, საფრთხის წინაშე არ დაგვაყენებს მენიუს თვალსაზრისით. მით უმეტეს, რომ ბევრია ბოსტნეული, ვცდილობთ ჩავანაცვლოთ სეზონური სადილებით ის მენიუ, რაც არსებობს ორგანიზაციაში და არ იგრძნონ ბენეფიციარებმა, რომ ისინი მნიშვნელოვანი შემოსავლების გარეშე მყოფი ადამიანები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ სეზონური ხილ-ბოსტნეული მიიღონ.

– რეგიონებშიც დიდი მოთხოვნილებაა სათნოების სახლზე?

– რა თქმა უნდა. სამწუხაროდ, გაჭირვებული ადამიანები ყველგან არიან და ყოველთვის იქნებიან ჩვენს გვერდით, როგორც ეს სახარებაშია ნათქვამი. ისინი არიან როგორც თბილისში, ისე მის მიღმა. ტენდენციები დაახლოებით ერთი და იგივეა, როგორც თბილისში, ისე რაიონებში. მე გამოვყოფდი ზესტაფონის „კათარზისს“, რომელიც სტრუქტურულად და ფინანსურად ყველაზე გამართულია „კათარზისის“ ორგანიზაციებს შორის, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის კომპანია „სოკარს“. მან თავისი ფრთის ქვეშ აიყვანა ზესტაფონის „კათარზისი“, რომელიც გათვლილია 200 ადამიანზე. ტექნიკური პრობლემების გამო ჯერ-ჯერობით მხოლოდ 120 ადამიანის მომსახურება ხერხდება. უნდა გითხრათ, რომ ზესტაფონის „კათარზისის“ მენიუ არაფრით ჩამოუვარდება თბილისის „კათარზისის“ მენიუს. ისეთივე ნოყიერი, გემრიელი, კალორიული და უხვი შეთავაზებებია ხანდაზმულთათვის, როგორითაც თბილისში ვამაყობთ.

– სად გიჭირთ გემრიელად მოხუცთა დაპურება ყველაზე მეტად?

– ეს პრობლემა ყველგან არის, თუ არ ჩავთვლით ზესტაფონის ორგანიზაციას. ერთი სერიოზული კომპანია დაინტერესდა რეგიონებში არსებული სიტუაციით, პრობლემა გადაწყვეტის სტადიაშია და იმედია დადებითად გადაწყდება.

– თბილისში ბენეფიციარობის კანდიდატებს რიგში უწევთ დგომა, რომ „კათარზისის“ წევრები გახდნენ. თქვენ კი მაქსიმალურად სწავლობთ მათ რეალურ მდგომარეობას და საჭიროებებს. რეგიონებშიც ანალოგიურად ხდება მათი შერჩევა?

– თბილისის „კათარზისში“ ლოდინის ხანგრძლივობა მინიმუმამდეა დაყვანილი იმ უბრალო მიზეზით, რომ თუ იმ ასაკობრივ ჯგუფშია და პასუხობს „კათარზისის“ მოთხოვნებს, ვცდილობთ სწრაფად დავაკმაყოფილოთ. რაც შეეხება რაიონებს, იქ მოკვლევა, როგორც ასეთი, ნაკლებად ხდება იმ ფორმით, როგორც თბილისში ვაკეთებთ.

– უახლოეს მომავალში თუ გეგმავთ სადილს ნებისმიერი მსურველისათვის?

– ფართო სადილი აგვისტოში, მარიამობის დღესასწაულზე იქნება. მანამდე ამის შესაძლებლობა არ გვაქვს.

ქუჩის ბავშვებისათვის საღღეღამისო თავშესაფარი ამოქმედდება

მერი ნამორაძე

რამდენიმე თვეში თბილისში ქუჩის ბავშვებისათვის თავშესაფარი კვლავ ამოქმედდება. როგორც ორგანიზაცია „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტმა ნანა იაშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბრისას აღნიშნა, სარემონტო სამუშაოები დაწყებულია და ოქტომბრის თვისთვის საღღეღამისო თავშესაფარი მწყობრში იქნება. უკვე ერთი წელია ის არასრულწლოვანები, რომლებიც არაკეთილსაიმედო ოჯახებში ცხოვრობდნენ და მშობლთა მხრიდან ძალადობის თუ სოციალური შეჭირვების გამო ქუჩაში იზრდებოდნენ, ღამის თავშესაფრის გარეშე დარჩნენ. სერვისი შენობის მოუწესრიგებლობის გამო გასული წლის აგვისტოში შეწყდა. ის ბავშვები, რომლებიც იმ დროისათვის იმყოფებოდნენ თავშესაფარში, მიმღებ თუ ბიოლოგიურ ოჯახებში განათავსეს სოციალურმა მუშაკებმა.

მაინც რამდენი ბენეფიციარი ეყოლება შემოდგომით თავშესაფარს? ამის გათვლა წინასწარ შეუძლებელია, რადგან ეს-ეს არის ამოქმედებას იწყებს მობილური ჯგუფების სერვისი ქუჩის ბავშვებისათვის, რომელმაც ქუჩაში უნდა იმუშაოს ამ ბავშვებთან და თავშესაფარში მიიზიდოს ისინი. არც ის არის ცნობილი, ბოლო წლებში რამდენად ხშირია ბავშვთა გადინება ქუჩაში. ამის კვლევა დონორი ორგანიზაციების დახმარებით მალე დაიწყება და სახელმწიფოს მიერ ზუსტად გაითვლება, რა სერვისების შეთავაზება იქნება საჭირო ქუჩაში გადინების პრევენციისთვის. არ არის გამორიცხული სერვისის ერთ-ერთ ნაწილს იმ მშობლებთან მუშაობა შეადგენდეს, რომლებიც გამუდმებით ძალადობენ შვილებზე და აიძულებენ იმათხოვრონ, ფული ნებისმიერი გზით მოიპოვონ, რათა მშობელთა ახირებები დააკმაყოფილონ. „ბავშვი და გარემოს“ პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ ამ ეტაპზე თავშესაფარზე მოთხოვნა თბილისში დიდი იქნება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი ილუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

ოთხშაბათი 22 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 17.00 "გურმანია" 18.00 დ/ფ "ძვლების მკვლევარები" 19.05 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 21.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ **"ნიკიტა"** 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 მხ/ფ **"მე პარლამენტდა"** 01.20 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00 დ/ფ "მსოფლიოს ქალაქები" – "ბრიუსელი" 09.00 მხ/ფ **"ველური" ველური ფესტი"** (უ.სმითი) 11.10 მხ/ფ **"მის კონგენიალურობა"** (ს.ბალოკი) 13.00 დ/ფ "ეგვიპტე" 6 ნაწ. 14.00 "ეპიცენტრი" (შაბ. გ/ჩვ) 15.00, 17.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნაწ. 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"**. 19.05 მთავარი ფაქტორი 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 მთავარი ფაქტორი (პ/ე) (გაგრძელება) 23.00 მხ/ფ. **"რემბო – 4"** (ს.სტალონე) 01.15 მხ/ფ. **"უნივერსალური აგენტი"**

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მუშვინიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 შერეკილები. 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ქალა"** 22.00 ქართ. მხ/ფ **"ნაწილები"** (პრემიერა) 00.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 00.30 შიშის ფაქტორი 01.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 საგალობელი 06.25 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.50 მხ/ფ **"მე მოვედი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 21.05 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 კვირიაკე 12.05 მხ/ფ **"ცხელი ზაფხულის საი დღე"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 სპექტაკლი - **"სოლ-ქმარი ბინას დაქირავებს"** 16.55 კონცერტი - იყო ხილვის სიხარული (გოგი დოლიძე) 18.10 ტელეზღაპარი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ **"როცა აყვავდა ნეში"** 20.40 ძილი ნებისა 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჟურნალისტის დღიური 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 8.20 მაგთიფანი (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.00 მაღვიძარა(კოლაჟი) 11.00, 15.30 ფარული კამერა 12.30, 22.20, 3.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 16.00 **სარიალი "ბეორმი"** 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სარიალი "1001 ღამე"**

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05 BBC სერიალი დიდი იმედები 3 გამ 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 სტერეოტიპი გამ 16.10 მატრიცა 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 20.00 **სეფერა ეროვნული ბანკი** 22.00, 3.50 **ეროვნული ბანკი** 0.20 მხ/ფ **ნებართვით**

სამშაბათი 23 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "ჩვენი ეზო" 18.00 დ/ფ "ადამიანი პლანეტა" 19.05 ტ/სერ **"მაგდა ემი"** 21.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 22.00 ტ/სერ **"ნიკაბა"** 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 მხ/ფ **"მე პარლამენტდა"** 01.20 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" I ნაწ. 14.00 დ/სერ. "მეცნიერება ფილმებში" 13 ნაწ. 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" მე-2 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 კონცერტი: "ომარ ხეიამ" 1 ნაწ. (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აპრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 იურმალა 2013 00.45 მხ/ფ. **"აუხდენელი ოცნებები"** (ვ.კასელი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მუშვინიერია"** 11.00 სერ. **"იდუმალი ქალი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ვანოს შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ქალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 გაცინე და მოიგე. 23.00 სერ. **"სისრულის თეორია"** 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 სპექტაკლი - **"სოლ-ქმარი ბინას დაქირავებს"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.10 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ქრისტიანული სწავლება 10.50 საუბრები ლიტერატურაზე 10.20 საღვთისმეტყველო საუბრები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"როცა აყვავდა ნეში"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 ეთნოგრაფია 15.40 კონცერტი - ნ.რაჭველი, ლ. თორაძე(მალერის პირველი სიმფონია, რაველის საფ. კონცერტი 17.00 ერთსულოვნების სალონი 18.10 ტელეზღაპარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 ჩვენი ტრაპეზი 19.30 დროის ჩანაწერები 20.00 ღია აუდიტორია 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ისტორიის გაკვეთილი 22.25 მგზავრები წუთისოფლისა 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 ჩვენი ფონდი 23.35 მოკ/ფ **"ბაკურხეველი სვეს ერი"** 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმები 8.20, 9.15 მაგთიფანი (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30, 6.30 ფარული კამერა 12.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) 14.40 "ყოველდღიური აბები (გამ.) 16.00 **სარიალი "ბეორმი"** 18.05, 0.00, 3.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სარიალი "1001 ღამე"** 22.00, 1.30, 4.30 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05 **სარიალი "ბაბილი შანამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ანატომია 16.10 სპორტის დრო 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 19.30 ფეხბურთი სერბეთი-საქართველო 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 2.20 რაგბი 0.20 მხ/ფ

ოთხშაბათი 24 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "აღმოაჩინე საქართველო" 17.30 "AQUA – GEORGIA" 18.00 დ/ფ "მეცნიერების ისტორია" 19.05 ტ/სერ **"მაგდა ემი"** 21.00 "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" 22.00 ტ/სერ **"ნიკიტა"** 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 მხ/ფ **"რიპლის თამაში"** (ჯ.მალკოვიჩი) 01.30 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (სამშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ლამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აპრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 იურმალა 2013 00.45 მხ/ფ. **"მოწინააღმდეგე მხარეები"** (ო.ტაბაკოვი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მუშვინიერია"** 11.00 სერ. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 იიღბლიანი ბორბალი. 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ქალა"** 22.00 ნანუკას შოუ. 23.00 სერ. **"სისრულის თეორია"** 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 საგალობელი 06.20 მხ/ფ **"ფიდი ეალსი"** 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 მოკ/ფ **"ბაკურხეველი სვეს ერი"** 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.05 ამინდი 12.10 დროის ჩანაწერები 12.40 ღია აუდიტორია 13.20 ქრისტიანული სწავლება 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 ისტორიის გაკვეთილი 16.00 კონცერტი - ანს. "მთიები" 16.50 კვირიაკე 18.05 ტელეზღაპარი 18.30 დეკორატიული ფლორა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ბარბოროზის ორდენის კავალერი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 ეპოქის სახელები 21.55 ფოტოგალერეა 22.25 ქართული ალბომი 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "უბისა" 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00, 23.30, 1.00, 3.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 8.20, 9.15 მაგთიფანი (გამ.) 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30, 6.30 ფარული კამერა 12.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ.) 14.40 "ყოველდღიური აბები (გამ.) 16.00 **სარიალი "ბეორმი"** 18.05, 0.00, 3.30 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სარიალი "1001 ღამე"** 22.00, 1.30, 4.30 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 **სარიალი "ბაბილი შანამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 ჩემიანი გამ 16.10, 17.10, 23.30, 7.00 დოკ/ფ 18.00, 1.50 ღია თამაში 22.00, 3.50 მთავარი კითხვა 0.20 მხ/ფ

ხუთშაბათი 25 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "ჩვენი ფერმა" 17.30 "საფარი" 18.00 დ/ფ "სიცოცხლე" 19.05 ტ/სერ. **"მაგდა ემი"** 21.00 "საგარო პოლიტიკა" 22.00 ტ/სერ. **"ნიკიტა"** 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 სპორტული თოქ-შოუ: "არენა" 00.30 მხ/ფ **"ზაბრისკი პოინტი"** 02.30 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 11.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 3 ნაწ. 14.00 დ/ფ "ევა ჟოლი" 16.00 დ/ფ "როგორ შეგვქმნა დედამიწამ" 4 ნაწ. 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) 21.30 "არგუმენტების დრო" (პ/ე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 ლამის შოუ (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აპრძალული სიყვარული"** 21.00 სერ. **"დაბრუნება"** 22.00 იურმალა 2013 00.45 მხ/ფ. **"მოწინააღმდეგე მხარეები"** (ო.ტაბაკოვი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მუშვინიერია"** 11.00 სერ. 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ქალა"** 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 სპექტაკლი - **"ელენე, ტრიას დედოფალი"** I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.35 დოკ/ფ "უბისა" 11.00 ჟურნალისტის დღიური 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ბარბოროზის ორდენის კავალერი"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 15.55 დოკ/ფ "გურული ფირალები" 16.15 კონცერტი -ნატო ეიფაშვილი 18.10 ტელეზღაპარი 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ბაზაფხული გადის"** 20.40 ძილი ნებისა 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.25 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავვეებთან 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.30 მულტფილმები 8.20, 9.15 მაგთიფანი. 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30 ფარული კამერა 12.30, 22.20, 3.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" 11.00, 15.30 ფარული კამერა 16.00 **სარიალი "ბეორმი"** 18.05, 1.30, 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" 19.00 **სარიალი "1001 ღამე"**

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 **სარიალი "ბაბილი შანამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 დიდი დრო (გამ) 16.10, 17.10, 7.00 დოკ/ფ 18.00 ღია თამაში 22.00 BBC სერიალი. 23.30 სტერეოტიპი. 0.20, 3.50 მხ/ფ 1.50 ღია თამაში გამ

პარასკევი 26 ივლისი

07.30 "ჩვენი დილა" (პ/ე)

08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 11.00 "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) 12.35 "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) 15.00 ან/სერ. "ტარატაბონგი" 15.05 ტ/სერ **"ჭორიკანა"** 17.00 "საუკუნის პორტრეტები" 17.30 "ეთნოგრაფიული ჩანახატები" 18.00 დ/ფ "ისტორიის შექმნა" 19.05 ტ/სერ **"მაგდა ემი"** 21.00 ტ/სერ **"ნიკიტა"** 22.00 "ქართული დოკუმენტალისტიკა" 23.00 "საფეხბურთო დღიური" 23.30 "წითელი ზონა" 00.30 მხ/ფ **"ფრანსისი"** (ტიტ) (ჯ.ლენგი) 03.00 "დღეს ორის ნახევარზე"

08.00, 10.00, 21.00 "ბრიფინგის დრო" 09.00, 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 10.30 "არგუმენტების დრო" (ხუთშ. გ/ჩვ) 12.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია (პ/ტ) 20.00 "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. **"დაუვიწყარი"** 11.20 სერ. **"მაფიის ქვრივი"** 12.30 იმედის დღე (პ/ე) 14.40 იმედის გმირები (გ/ჩ) 15.15 რომ გადახვალ" გაიჩერე (გ/ჩ) 16.00 სერ. **"დამალული სიმართლე"** 17.50 სერ. **"მაგნატები"** 18.50 სერ. **"აპრძალული სიყვარული"** 21.00 სერ."**დაბრუნება**" 22.00 იურმალა 2013 00.45 მხ/ფ. **"25-ე საათი"** (ჰ.ს.ჰოფმანი)

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"სიყვარული მუშვინიერია"** 11.00 სერ. 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. **"ნამდვილი გრძნობა"** 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ **"ერთგულების ქალა"** 20.50 ეროვნული ლატარეა 01.00 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.40 მხ/ფ **"ელენე, ტრიას დედოფალი"** II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 18.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "წმინდა ათონელი მამები" 11.15 ისტორიის გაკვეთილი 11.45 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ბაზაფხული გადის"** 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 14.45 ფოტოგალერეა 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დეკორატიული ფლორა 15.45 საუბრები ლიტერატურაზე 16.15 ძველი ჰანგები 16.50 კვირიაკე 18.10 ტელეზღაპარი 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ **"ბანაჩინი"** 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ლექსით ქებათა ქება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სათავვეებთან 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსულოვნებაზე(გამ.) 02.15 ნიამორი

მაესტრო 7.00 ახალი ამბები კოლაჟი 7.30 მულტფილმები 8.20, 9.15 მაგთიფანი. 9.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 0.00, 1.00, 3.00 ახალი ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 11.00, 15.30 ფარული კამერა 12.30, 22.20, 3.30 თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" 14.40, 22.00, 0.30, 2.30, 5.30 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" 23.00, 2.30, 3.30 ფარული კამერა 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.)

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 21.00, 0.00 ახალი 8.05, 9.05, 10.05 ახალი დილა 11.05, 20.00 **სარიალი "ბაბილი შანამი"** 12.30, 17.30 როგორ შევხვდი დედაშენს 13.10, 14.30, 5.00 ცხელი შუადღე 15.30 დიდი დრო (გამ) 16.10, 17.10, 7.00 დოკ/ფ 18.00 ღია თამაში 22.00 BBC სერიალი. 23.30 სტერეოტიპი. 0.20, 3.50 მხ/ფ 1.50 ღია თამაში

შაბათი 27 ივლისი

08.00 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" 08.40 საბ. ან/ფ "რა მუშვინიერია პანამა" 10.00 საბ. ან/სერ. "ზინგზილები" 11.00 "პეპე და მეგობრები" 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 12.30 I არხი წარმოგიდგენთ – კონცერტი: მუსიკალური შეხვედრები ნია ბახტაძესთან. 14.00 ფილმი ნოსტალგია: **"ყველანი ციხეში"** 16.30 ქართ. დოკ/ტ/ფ "სერგო ზაქარიაძე" 18.00 "ეტალონი/ 19.00 "10/10" 20.40 "ახალი ქართული კინო" 21.00 მხ/ფ. **"ბალმა ნაპირი"** 22.30 მხ/ფ. **"ენდე საკუთარ თავს"** (ა.ბანდერასი) 00.30 მხ/ფ **"სიცოცხლის მტკიცებულება"** (მ.რაიანი)

08.00, 10.00, 16.00 "ბრიფინგის დრო" 09.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 12.00 დ/ფ "პირველი ეთიოპელი ქრისტიანი-ბერების კვალდაკვალ" 13.00 მხ/ფ **"ბაკურეულები"** (ჟ.დეპარდიე) 14.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "კარიბის კუნძულები" 15.00 დ/ფ "ღვინო და მეცნიერება" 16.30 დ/ფ "მსოფლიო ოდისეები" – "შოტლანდია" 17.00 მხ/ფ **"ბაჟინული"** (ლეი დე ფიუნესი) 19.00 "ეპიცენტრი" (პ/ე) 20.00 მხ/ფ **"ნიკიტა"** 22.00 ტ/სერ. **"ბაბილისი"** 7 სერ. 23.00 მხ/ფ **"ბელები თვითმფრინავები"** (ლ.ხალბი) (ტიტ.)

08.15 ან/ფ "ავატარი" 09.00 მხ/ფ. **"აბატარა დეტექტივები"** 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ეკოვიზია 12.00 ქ/სერ. **"შუა ქალაქში"** 13.00 სერ. **"სონის შანსი"** 14.20 მხ/ფ. **"ორმოები"** 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: სუხიშვილები" 19.05 თოქ შოუ – "ც" ჰეპატიტი (პ/ე) 21.00 ღამის შოუ 22.00 იურმალა 2013 ფინალი 00.45 მხ/ფ. **"აუხლუხას რჩეება"** (ს.ნიქსონი)

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია "პატარა პრინცი" 09.30 შერეკილები 10.30 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 13.30 ქართ. მხ/ფ 16.30 "ნანუკას შოუ" - (გ/ჩ) 18.45 სერ. **"სრულების გვირგვინი"** 20.05 სერ. **"ერთგულების ქალა"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 00.30 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 01.00 "Latin Angels" 01.30 მხ/ფ

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ "დები ტრევისის საოცარი სახლი" 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 "განთიადი" (კოლაჟი) 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 ჩვენი ტრაპეზი 10.50 ქართული ხმები 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ **"ნარგები"** 13.40 ქრისტიანული ხელოვნება 14.20 დოკ/ფ "კვირიკე" 15.05, 18.05, 21.05, 00.10 პატრიარქის ქადაგება 15.30 მგზავრები წუთისოფლისა 16.00 ერთსულოვნების სალონი 16.55 ეპოქის სახელები 17.20 საღვთისმეტყველო საუბრები 18.20 დროის ჩანაწერები 18.50 ღია აუდიტორია 19.30 მხ/ფ **"ვერის შვნის მეღლიდები"** 21.35 ლექსით ქებათა ქება 21.40 კვირიაკე 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ"ლიგურკე" 00.30 მხ/ფ **"ქილიმანჯარის თოვლიანი მთა"**

მაესტრო 7.00, 0.00, 2.00, 3.00, 4.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 8.00 მულტფილმი 8.30 მაღვიძარა (კოლაჟი) 9.30 თოქ-შოუ "კვირის არგუმენტები"(გამ.) 11.00, 12.30, 15.30, 19.00 **სარიალი "1001 ღამე"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 18.45 "ყოველდღიური აბები" (გამ.) 21.45, 0.30, 4.30 თოქ-შოუ "პრესპრესი" 23.00, 2.30, 3.30 ფარული კამერა 6.00 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ.)

tv 9 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 12.00, 15.00, 18.00, 0.00 ახალი 8.10, 9.10, 10.05 ახ

ალექსეი ნავალნის ხუთი წელი მიუსაჯეს

რუსეთმა დემოკრატიაზე ტესტი ვერ ჩააბარა, — ფიქრობენ დასავლელი ექსპერტები

– რუს ოპოზიციონერ პოლიტიკოსსა და ბიზნესმენს ალექსეი ნავალნის ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. სასამართლომ ის „კიროვლესის“ საქმეში დამნაშავედ ცნო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

ალექსეი ნავალნი დღევანდელი რუსული პოლიტიკური სპექტრის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟია. ?იზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, პოპულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბლოგის „ცოცხალი ჟურნალის“ ორგანიზატორი. ნავალნის სახელთანაა დაკავშირებული ზოგი ანტი-კორუფციული პროექტის შექმნაც.

– ის ერთადერთი ოპოზიციონერი პოლიტიკოსია, რომელსაც ქარიზმა გააჩნდა, შესაბამისად, ერთადერთი, ვისაც პუტინის სისტემის დემონტაჟი შეუძლია. ჩვენც მხარს ვუჭერთ მის კანდიდატურას მოსკოვის მერის პოსტზე, – ასე ახასიათებს ნავალნის გარი კასპაროვი.

ალექსეი ნავალნი 1976 წელს სამხედროს ოჯახში დაიბადა. მისი მშობლები სსრკ-ის დაშლის შემდეგ ფაბრიკის მფლობელებად გადაიქცნენ, თავად ნავალნი ?? ამ ფაბრიკის ერთ-ერთი დამფუძნებელია. მისი ბიზნეს-კარიერაც ასე დაიწყო. შემდგომში ნავალნი მსხვილი ბიზნესმენი და ბლოგერი გახდა: იყო კომპანია „აეროფლოტის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ბლოგის „ცოცხალი ჟურნალის“ ხელმძღვანელი. ნავალნი რიგი ანტიკორუფციული პროექტის „როს იამას“ და სხვათა შემქმნელია.

– მას რუსულ დემოკრატიულ სპექტრთან მჭიდრო კავშირები გააჩნდა, თუმცა თავის ნაციონალისტურ შეხედულებებს არასდროს მალავდა, – იტყობინება ბი-ბი-სი.

გაზეთი „შლიახ პერემოგი“, მიმოიხილავს რა ნავალნის პიროვნებას, წერს: ნაციონალიზმი დაპყრობილი, დაჩაგრული ერების იდეოლოგიაა. მისი არსი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: მე არ ვჩაგრავ სხვას, მაგრამ არ დავუშვებ, რომ მე დამჩაგრონ. როცა ნავალნის მსგავსი მოღვაწე თავს ნაციონალისტად ასაღებს, ეს არ არის სწორი. ნავალნი შოვინისტი და პოპულისტია, მაგრამ არა ნაციონალისტი.

დასავლელი ექსპერტები გაოცებას გამოთქვამდნენ ნავალნის რუს დემოკრატებთან მჭიდრო კონტაქტების გამო. თავისი შეხედულებებით ის უფრო ჟირინოვსკის პარტიასთან იდგა ახლოს. ბი-ბი-სიმ ამისი მიზეზი მარტივად ახსნა:

– დემოკრატებს სჭირდებათ ქარიზმატული ნავალნი. თავის მხრივ, ნავალნისაც სჭირდება დემოკრატები, განსაკუთრებით მათი კავშირები დასავლეთში.

პოლიტიკური კარიერისათვის ნავალნი საფუძვლიანად მოემზადა. ჯერ რუსეთის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, შემდეგ რუსეთის მთავრობასთან არსებული ფინანსური აკადემია (ფაკულტეტი ფინანსები და კრედიტი). დაუმეგობრდა გარი კასპაროვს (ამ უკანასკნელის რეკომენდაციით გაიარა კურსი იელის უნივერსიტეტში). ერთ დროს გრიგორი იავლინსკისთანაც თანამშრომლობდა, თუმცა ამან მისი შოვინისტური პოპულიზმი როდი გაანეიტრალა. განსაკუთრებულ აგრესიულობას კავკასიელთა მიმართ იჩენდა:

– კავკასიელმა მიგრანტებმა რუსეთი წალეკეს, – ამბობდა ნავალნი, – მათ ჩამოიტანეს ჩვენში თავიანთი ცხოვრების წესი, თავიანთი „ფასეულობანი“. სამწუხაროდ, დღეს ამაზე ხმამაღლა საუბარი რატომღაც ცუდ ტონად ითვლება. მე, როგორც რუსეთის პატრიოტს, დუმილი არ შემიძლია! დაე, ლიბერალუკებმა (როგორც რუსეთში, ისე დასავლეთში) გამლანძღონ, მე ამას ავიტან, ჩემთვის მთავარია არა რეპუტაცია, არამედ რუსეთის ინტერესები!

ასეთმა გამოხდომებმა იავლინსკი შეაშფოთა. ნაციონალ-პოპულიზმი და ანტიკორუფციული პროექტები ნავალნის სახელისუფლებო ამბიციებზე მიუთითებდნენ. იავლინსკიმაც მასში საშიში კონკურენტი დაინახა და ინტრიგების მთელი გორგალი აუგორა. საბოლოოდ ეს „იაბლოკოდან“ ნავალნის გარიცხვით დასრულდა.

– მას აშკარად ფაშისტური შეხედულებები გააჩნია! ასეთების ადგილი ჩვენს პარტიაში არაა! – განაცხადა იავლინსკიმ.

„იაბლოკოდან“ გარიცხულმა ნავალნიმ საკუთარი ორგანიზაცია „ნაროდი“ ჩამოაყალიბა. ეს დაჯგუფება თავის თავს ეროვნულ-დემოკრატიულს უწოდებდა, თუმცა სინამდვილეში აშკარა შოვინისტური და პოპულისტური ლოზუნგებით გამოდიოდა. სწორედ ნავალნი გახლდათ „რუსული ეროვნული მოძრაობის“ დამაარსებელი, „რუსული მარშების“ ორგანიზატორი. თავად ნავალნი ამ მარშებში აქტიურად მონაწილეობდა.

– ჩვენი მიზანია რუსეთის პოლიტიკური სისტემის ნაციონალისტურ პრინციპენზე გარდაქმნა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში ნავალნიმ, – ჩვენი მოსახლეობის 70 პროცენტი სტიქიური ნაციონალისტია, თუმცა ორგანიზებული სახით ნაციონალიზმი რუსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში არაა წარმოდგენილი! ჩვენ ამ ანომალიას ბოლოს მივუღებთ! ნაციონალიზმი რუსეთის მომავალია!

ნავალნის მიტინგებზე გამოსვლას ხალხი მქუხარე ტაშით ხვდებოდა. გაისმოდა სკანდირება: „ძირს პუტინი, გაუმარჯოს ნავალნის“. დასავლეთის რიგ გაზეთებში გაჩნდა სტატიები, რომელთა ავტორები ამტკიცებდნენ, რომ რუსეთში ახალი ლიდერი გამოჩნდა! სპეციალისტები ამას სკეპტიკურად ხვდებოდნენ.

– ნავალნი უდავოდ საინტერესო ფიგურაა, მაგრამ მისი პუტინის ალტერნატივად გამოცხადება ნაადრევია! ამ კაცის რეიტინგი ხომ მხოლოდ ხუთი პროცენტია!

ნავალნი ამას არ დაეთანხმა და გადაწყვიტა, მოსკოვის მერის არჩევნებში კენჭი ეყარა. ის სულ უფრო მწვავედ აკრიტიკებდა პუტინს, ამხელდა რუსეთში არსებულ კორუფციას და პუტინის მიმართ მეტად მწვავე გამოთქმებს ხმარობდა. სუკიდან პოლიტიკაში მოსულ პუტინს ეს გულზე ლახვარივით ხვდებოდა. აკი ნავალნი დაშვებულის ზღვარს გადასცდა.

– ნავალნი – ეს კიდევ ერთი ტესტია დემოკრატიაზე, რომელიც რუსეთმა უნდა ჩააბაროს! პოლიტიკურად ის პუტინის კონკურენტი ვერ იქნება, თუმცა გამოთქმები, რასაც რუსეთის პრეზიდენტის მიმართ ხმარობს, უპრეცედენტოა! გაუძლებს ამას პრეზიდენტი? – ამ კითხვას რადიო „თავისუფლება“ სვამდა.

პუტინმა ტესტი ნამდვილად ვერ ჩააბარა. ჯერ კიდევ 2011 წელს ნავალნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ხელისუფლებამ აქცენტი კიროვლესის საქმეზე გააკეთა. ნავალნის ბრალად დასდეს სახელმწიფო სანარმო კიროვლესის დირექტორის შეცდომაში შეყვანა და ხე-ტყის უკანონო დატაცება.

– ნავალნი კიროვლესის დირექტორატს წარუდგა როგორც კიროვის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი და დახმარების სანაცვლოდ გუბერნატორისაგან ფინანსების მოზიდვას შეჰპირდა. შედეგად მან ხე-ტყის დიდი ოდენობა უკანონოდ მიითვისა, – ნათქვამია საქმეში. თავად ნავალნი ამას კატეგორიულად უარყოფდა.

– ესაა ცილისწამება! პუტინს ჩემი ეშინია და მდევნის! – განაცხადა მან.

2012 წელს საქმე შეწყდა, თუმცა ეს დროებითი აღმოჩნდა. მალე ნავალნისა და მისი მეგობრის, ოფიცეროვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე კვლავ აღიძრა. ფორმულირება ძველი გახლდათ: დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების მითვისება. ნავალნიმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა:

– ყველაფერი ეს ხელისუფლების ოინებია! ამ სულელური სპექტაკლის შემკვეთი კი თავად ვლადიმერ პუტინი გახლავთ! აკი მიმდინარე წლის სექტემბრის დასაწყისში მოსკოვის მერის არჩევნები უნდა გაიმართოს! პუტინმა იცის, რომ ამ არჩევნებს აუცილებლად მოვიგებ, ჰოდა, მებრძვის!

2013 წლის 18 ივლისს ქ. კიროვში ალექსეი ნავალნისა და მისი მეგობრის, ოფიცეროვის სასამართლო პროცესი დასრულდა. სასამართლომ ორივენი დამნაშავედ ცნო. ნავალნის – ხუთით, ოფიცეროვს კი ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. განაჩენმა მთელი რუსეთი აღაშფოთა. კიროვში, მოსკოვსა თუ სხვა ქალაქებში ნავალნის მხარდამჭერი დემონსტრაციები დაიწყო:

– განაჩენმა საზოგადოება უდავოდ აღაშფოთა, თუმცა დღეისათვის პროტესტმა საკმარის დონეს ვერ მიაღწია. ნავალნის საქმე რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გავლენას უდავოდ იქონიებს, თუმცა ეს უკვე ხვალინდელი დღეა, – იტყიბინება რადიო „თავისუფლება“.

ნავალნის მიმართ გამოტანილი განაჩენი გააკრიტიკეს აშშ-ის ელჩმა რუსეთში მაიკ მაკფოლმა, აგრეთვე გერმანიის, საფრანგეთის, შვედეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია დასავლური მასმედიის შეფასება. ყველა ევროპული წამყვანი გაზეთი ერთსულოვნად აღნიშნავს, რომ რუსეთმა დემოკრატიაზე ტესტი ვერ ჩააბარა. პუტინმა პირადი ანგარიში გაუსწორა თავის ოპონენტს, რომელიც სისტემატურად აკრიტიკებდა. განსაკუთრებით საინტერესოა ბი-ბი-სის შეფასება:

– პუტინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დემოკრატიული ფასეულობანი მისთვის, საბჭოთა სუკში გამოზრდილი ოფიცრისათვის, უცხოა! ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი ოპონენტებს პირად ანგარიშებს უსწორებს და ამ მიზნისათვის იყენებს მილიციას, პროკურატურას, სასამართლოს. ასე იყო ხოდორკოვსკის შემთხვევაში, ასე მოხდა ნავალნის მიმართაც! შედეგად შოვინისტი და პოპულისტი ნავალნი წარმოჩნდა წამებულად, ერთგვარ რუს მანდელად. რამდენად შეუწყობს ეს ხელს დემოკრატიის დამკვიდრებას რუსეთში?! – კითხულობს ბი-ბი-სი.

ამრიგად, სასამართლომ განაჩენი გამოიტანა, თუმცა საერთაშორისო საზოგადოების რეაქციამ აიძულა რუსეთის ხელისუფლება, უკან დაეხია. კიროვის პროკურატურამ გამოტანილი განაჩენი გააპროტესტა. შედეგად ნავალნი და ოფიცეროვი დროებით გაათავისუფლეს. საბოლოო გადაწყვეტილება სექტემბრის დასაწყისში იქნება მიღებული. მანამდე ორივენი ციხის გარეთ იქნებიან. ამრიგად, ნავალნიმ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეული გავლენა უკვე მოახდინა. რა მოხდება შემდეგ?

ნიკა თევზაძე

თეირანი სირიისათვის იარაღის მიწოდების ბრალდებას უარყოფს



ირანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უარყო ბრალდება იმის შესახებ, რომ თეირანი სირიას შეიარაღებით ეხმარება. დიპლომატიური უწყების განცხადებით, ამ ბრალდებას ის ქვეყნები უყენებენ, რომლებიც თავად აფინანსებენ ტერორისტულ დაჯგუფებებს სირიელ ხალზე თავდასხმისათვის.

სირიის დიპლომტიური უწყების წარმომადგენელი სეიდ აბას არაკში ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა, რომლის თქმითაც ირანი ერაყის საჰერო სივრცის გამოყენებით, შესაძლოა სირიას შეაირაღებით ეხმარება.

ამერიკის ოფიციალური პირების თქმით, ირანის როლი სირიაში მიმდინარე ძალადობაში კიდევ უფრო გაიზარდა. არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ირანის სამხედრო და სადაზვერვო სამსახურების წარმომადგენლები აქტიურად ეხმარებიან სირიის სამთავრობო ძალებს. სამი ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით, რომლებსაც დაზვერვის მოხსენებაზე მიუწვდებათ ხელი, ბოლო პერიოდში ირანი შეიარაღების გარდა, სხვა ტიპის დახმარებასაც უწევს ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს.

სირიაში კონფლიქტი 2011 წლის მარტში დაიწყო, რასაც უკვე დაახლოებით 100 000 ადამიანი ემსხვერპლა. კონფლიქტი უკვე გასცდა ამ ქვეყნის ფარგლებს და მასში მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

გ. მ.

ეკა გიგაური: „უცხოელებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა გაუმართლებელია“

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღიარებს მიწის რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარების აუცილებლობას, თუმცა მიაჩნია, რომ ახლადშემოღებული შეზღუდვები არღვევს საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას, ასევე ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სერიოზული შეფერხებაც შეუძლია. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა განაცხადა, 2014 წლის 31 დეკემბრამდე უცხოელთა და უცხოეთში დარეგისტრირებული იურიდიული პირებისათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენის აკრძალვა, გაუმართლებელია.

ორგანიზაცია უახლოეს მომავალში აპირებს ამ შეზღუდვების გაუქმების მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართოს.

,,მიუხედავად იმისა, რომ სხვა ქვეყნებშიც არსებობს მსგავსი შეზღუდვები, ეს რეგულაციები ნაკლებად მკაცრია და ტოვებს გარკვეული გამონაკლისების შესაძლებლობას. საქართველოს შემთხვევაში კი დამაჯერებელი დასაბუთების გარეშე ძალზე ხისტი და ყოვლისმომცველი აკრძალვა იქნა შემოღებული“, – განაცხადა ეკა გიგაურმა.

მისივე თქმით, მიწის საკუთრების შესახებ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში არ უნდა დაზარალდეს ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები. როგორც მან აღნიშნა, საქართველოში მიწის უდიდესი ნაწილი დაუმუშავებელია და ამ პირობებში ინვესტორებისათვის შეზღუდვების შემოტანა გაუმართლებელი ნაბიჯია.

,,საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ სამწუხარო ფაქტად აფასებს იმას, რომ აღნიშნული კანონპროექტი საერთო საჯარო განხილვებისა და დაინტერესებული პირებისა და ბიზნესასოციაციების გარეშე იქნა მიღებული“, – აღნიშნა გიგაურმა.

მედიანიუსი

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. საარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და დამუშავების ადგილი; 2. ალგებრული ორწევრი; 3. მიწის სათხრელი მანქანა; 4. რადიაქტივობის აღმომჩენი ფრანგი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. ტვირთის უწყვეტი გადამტანი მოწყობილობა; 8. ლეჩხუმის ძველი სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 12. უწვრილესი სისხლძარღვი; 14. შნო, მოხერხება; 16. ბერძნული მითოლოგიის გმირი, ზევსის შვილი; 16. ჰავა ანუ...; 20. გემის მზარეული; 19. ბელორუსის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 5. ირანის საინფორმაციო სააგენტო; 6. ქართველი პიანისტი ქალი; 9. პოპულარული კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი იტალიის ალპებში; 10. იაპონიის იმპერატორთა ტიტული; 11. ქართული მინერალური წყალი; 13. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 15. ქართველი კომპოზიტორი; 18. მოქმედი ვულკანი ისლანდიაში; 21. უმაღლესი სასულიერო წოდება კათოლიკურ ეკლესიაში; 22. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 23. ქართველი მეფე, საგალობელ „შენ ხარ ვენახის“ ავტორი.

შეადგინა თ.კობალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რეპლიკა; 2. მზისა; 3. სიგარეტი; 4. რაბინი; 5. არქტიკა; 6. ვივიენი; 11. ბერნი; 13. მადიარი; 14. ფასანაური; 15. კაბელტოვი; 17. აიმაკი; 18. ორვილე; 19. ყავა.

თარაზულად: 7. მედუზა; 8. ფილანტროპი; 9. „გლაქსო“; 10. რარიტეტი; 12. ფარმაცევტი; 14. ფრანკი; 16. „გარდიანი“; 18. ოქსიდები; 20. ტვინი; 21. „ალი“; 22. გაბრიაძე; 23. ალოე; 24. მანომეტრი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. პროცესი; 2. საირმე; 3. ახტაჯანა; 4. „მიცუბიში“; 7. ვაშლოვანი; 8. მჭედლიძე; 12. ზარზუელა; 14. მონროვია; 16. ალგებრა; 17. ბერბიჭა; 19. იაგო; 20. პოზა.

თარაზულად: 5. „ბრასკუბა“; 6. ჩიხთიკოპი; 9. პელოტა; 10. მესიჯი; 11. ჭენჭი; 13. „გაუდა“; 15. „ტოშიბა“; 18. „ულისე“; 21. ხვანჭკარა; 22. ბეროუზი; 23. გონდოლა.

ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6536	ევრო — 2,1743
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5168	100 რუსული რუბლი — 5,0954

ამინდის პროგნოზი 20 ივლისისთვის

ქართულ გუნდებს რთული მეტოქეები ერგოთ

შვეიცარიის ქალაქ ნიონში გამართულმა წილისყრამ „დინამოს“ მომავალი მეტოქე გაარკვია. ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე დინამოელები „სტიაუა“–„ვარდარს“ შორის გამარჯვებულს შეხვდება. ბუქარესტელებს პირველი მატჩი 3:0 აქვთ მოგებული, ხოლო თბილისელებს ფარერების კუნძულის ჩემპიონ „სტრეიმურთან“ – 6:1. ლოგიკურად, დუშან უჰრინის გუნდის მეტოქე სწორედ „სტიაუა“ იქნება. მეტოქე ძალიან რთულია და დინამოელებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

გიორგი დევდარიანის გუნდმა დანიურ „ოლბორგს“ მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი, შინ 3:0 მოუგო და თუ რამე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სწორედ „დილამ“ უნდა გააგრძელოს ევროსარბიელზე ასპარეზობა.

რაც შეეხება მეორე წყვილს, იქ დიდი ბრძოლაა მოსალოდნელი. ხორვატიულ „ჰაიდუკს“ მაკედონიური „ტურნოვოსთვის“ შინ 2:1 აქვს მოგებული და ამ გუნდებს შორის მესამე ეტაპზე გამსვლელის ვინაობას განმეორებითი შეხვედრა გაარკვევს. თუმცა, ფავორიტად მაინც ხორვატები მიიჩნევიან.

„დილა“ კი განმეორებით შეხვედრას დანიაში 25 ივლისს გამართავს.

ასევე ცნობილი გახდა „თუნი“–„ჩიხურას“ შორის გამარჯვებულის მეტოქის ვინაობა. ამ წყვილში უმჯობესი შემდეგ ეტაპს ჩეხური „სტარტასა“ და შვედური „ჰეკენის“ შორის გამარჯვებულს გაეჯიბრება. პირველი მატჩი ჩეხეთში 2:2 დასრულდა, ხოლო „ჩიხურამ“ 0:2 დათმო მატჩი შვეიცარიელებთან.

ფაქტია, სამივე ქართულ გუნდს წილისყრაში არ გაუმართლა. თავისუფლად შეიძლებოდა, გაცილებით უფრო სუსტ მეტოქეებთან შეხვედრა.

ასტროპროგნოზი

20 ივლისი – შემოქმედებითი დღეა

ვერძი – ფული გაქვთ, პრობლემას კი მოევლება. **კურო** – რომანტიკული თავგადასავლი თავბრუს დაგახვევთ. **ტყუპები** – ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** – არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **ლომი** – ფულს შოულობთ, შენაძენი ძვირფასი იქნება. **ქალწული** – საღამო მშვენიერი იქნება, იხარეთ. **სასწორი** – დაიანგარიშეთ შემოსავალი და სერიოზული შენაძენი მხოლოდ ამის შემდეგ დაგეგმეთ. **ღრიანცალი** – დღეს საქმე კარგად წაგივათ. **მშვილდოსანი** – იმიჯის შეცვლა სწორედ რომ დროულია. **თხის რქა** – თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **მერწყული** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ. **თევზები** – დიდძალი ქონების პატრონი გახდებით.

21 ივლისი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **ტყუპები** – ნურავის ენდობით, ახლობლების გარდა. **კირჩხიბი** – ისე მოიქეცით, როგორც გული გეტყვით. **ლომი** – დიდი წინსვლა გელით. **ქალწული** – არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **სასწორი** – თქვენი ოპონენტი გებრძვით, ფრთხილად იყავით. **ღრიანცალი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **მშვილდოსანი** – თქვენი საქმე კარგად მიდის, იაქტიურეთ. **თხის რქა** – კარგი ამბები და სიახლე გელოდებათ. **მერწყული** – ეს დღე ახლობლებსა და მეგობრებს დაუთმეთ, მათგან კარგ ამბებს გაიგებთ. **თევზები** – ყური მიუგდეთ ინტუიციას, ის არ გიღალატებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

გორის დილა – დანიელთა რისხვა

დილა (საქართველო) – ოლბორგი (დანია) 3:0

თბილისი. მიხეილ მესხი

1:0 მოდებაძე (61), 2:0, 3:0 გორელიშვილი (68, 90)

დილა: რევიშვილი, ალადაშვილი, კობახიძე, ხიზანეიშვილი, თომაშვილი, გიორგი გურული, გვალია, ბოლქვაძე, დოლიძე (გორელიშვილი 63), ილურიძე (აბურჯანია 84), მოდებაძე (ალექსიძე 74)

ოლბორგი: ლარსენი, დალსგორდი, ტელანდერი, მ. ნილსენი, კ. ნილსენი, თომსენი, კრისტენსენი (ვიხმანი 71), ვურტცი, დიუ (კუსკი 62), კურტი, ფრედერიკსენი (ტოფტი 77)

გიორგი დევდარიანის შეგირდებმა ევროპა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის პირველ შეხვედრაში დანიის „ოლბორგის“ წინააღმდეგ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს და ამ ეტაპის ვერგავლა წარმოუდგენელიც კი არის. ამ გამარჯვებას, გარდა იმისა, რომ გორელებმა ყველა წინასწარი პროგნოზით, მათზე გამოცდილი, ხოლო თბილისელებს ფარერების კუნძულის ჩემპიონ „სტრეიმურთან“ – 6:1. ლოგიკურად, დუშან უჰრინის გუნდის მეტოქე სწორედ „სტიაუა“ იქნება. მეტოქე ძალიან რთულია და დინამოელებს დიდი ბრძოლების გადატანა მოუწევთ.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ჯოსვოხდი ა

შვეულად: 1. განსაკუთრებით პატივცემულ, გამოჩენილი ადამიანთა საპატიო ტიტული ინდოეთში; 2. გამარტივებული ნახაზი; 3. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 4. ქართული მინერალური წყალი; 5. ელექტროძრავის უძრავი ნაწილი; 6. ძილში ნანახი წარმოდგენითი სახეები; 11. სახელმწიფო ცენტრალურ აფრიკაში; 13. პაემანი, შეხვედრა; 14. შვედური კოსმეტიკური ფირმა; 15. დიდი სამხედრო ოპერაციების მომზადებისა და წარმოების ხელოვნება; 17. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი; 18. ტკბილი კარტოფილი; 19. ფრანგი მეზღაპრე.

თარაზულად: 7. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 8. ტბა საქართველოში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. ვეშაპის ერთ-ერთი სახეობა; 12. ხარებთან ორთაბრძოლის ხელოვნება; 14. შავი და თეთრი შრეებიანი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 16. მუავაგამძლე აგური; 18. „ფორმულა-1“-ში მონაწილე „რენოს“ გუნდის მფლობელი; 20. ბაღ-ბოსტნის ძველი ქართული სახელწოდება; 21. ბასკური ტერორისტული ორგანიზაცია; 22. მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი მესა კათოლიკურ მღვდელთმსახურებაში; 23. აფრიკული უკუდო მაიმუნი. 24. ვარდების ბაღი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



კიმ ჩენ ინი საკუთარ ინტერვიუს მილიონად აფასებს

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი მზად არის ნებისმიერ უცხოელ ჟურნალისტს ესაუბროს კორეის ომზე და უპასუხოს ყველა უხერხულ კითხვას, თუ მას 1 მილიონ ამერიკულ დოლარს გადაუხდიან.

კსდრ-ის ადმინისტრაციამ „ბიბისი ნიუსს“ „ესოშეითედ პრესს“ და „კიოდო ნიუსს“ გაუგზავნა მოწვევები ომის დასრულების თარიღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე. მათში ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერი მზად არის ინტერვიუს მისცემად, ოღონდ ზემოაღნიშნული წინდაწინ დათქმული ფასით. ჯერჯერობით მის წინადადებას არავინ გამოხმაურებია. კორეის ომის დამთავრების 60 წლისთავი 2013 წლის 27 ივლისს აღინიშნება. კონფლიქტი ჩრდილოეთსა და სამხრეთ კორეას შორის გრძელდებოდა 1950-53 წლებში. 1953 წელს ხელი მოეწერა ზავს, რამაც ბოლო დაუდო კონფლიქტს. შეიქმნა 4 კილომეტრიანი დემილიტარიზაციის ზონა.

უცხოელ ჟურნალისტთა დელეგაციები კორეაში ჩადიან 18 ივლისიდან. „უხერხულ კითხვებზე“ პასუხების გაცემის სურვილი კორეის ლიდერისთვის დასავლეთში მისი იმიჯის გაკეთილშობილების მიზანს ემსახურება. კიმ ჩენ ინმა თანამდებობა ოფიციალურად დაიკავა 2011 წლის 17 დეკემბერს, კიმ ჩენ ირის გარდაცვალების შემდეგ.

დაიბადა 1982, 1983 ან 1984 წელს (ზუსტი თარიღი ცნობილი არაა). იგი არის კიმ ჩენ ირისა და მისი მესამე ცოლის, ყოფილი მსახიობის. კო იონ ჰის მესამე შვილი. სამხრეთ კორეის დაზვერვის მონაცემებით, კიმ ჩენ ინი ბერნის საერთაშორისო სკოლაში სწავლობდა. შემდეგ, კიმ ირ სენის სახელობის უნივერსიტეტში მეცადინეობა გააგრძელა.

გ. მ.

ბაიდენი 2016 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ გამორიცხავს

ამერიკის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა 2016 წელს ქვეყნის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობა არ გამორიცხა. აღნიშნულის შესახებ მან ამერიკულ ჟურნალ „ჯიქიუს“ განუცხადა.

„მე შესაძლოა ბედნიერი მოვკვდე, ისე რომ არასოდეს არ ვიყო ამერიკის პრეზიდენტი. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მე არჩევებში მონაწილეობას არ მივიღებ“,-აღნიშნა ვიცეპრემიერმა.

ბადენმა აღნიშნა, რომ მისი გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: „პირველი, მექნება თუ არა იმდენი ენერგია და ძალა, რაც ახლა გამაჩნია. მეორე-ჩავთვლი თუ არა მე რომ საუკეთესო კანდიდატი ვარ. ჩემს წინაშე ამერიკის ორი ვიცე-პრეზიდენტის მაგალითი არსებობს – თომას ჯეფერსონისა და ჯონ ადამსის, რომლებიც შემდეგ პრეზიდენტები გახდნენ“,-აღნიშნა ბაიდენმა.

გ. მ.

ეგვიპტე მასობრივი აქციების მოლოდინშია

ხუთშაბათს ეგვიპტის პრეზიდენტის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა ადლი მანსურმა პირობა დადო, რომ ქვეყანაში არსებული არეულობის წინააღმდეგ იბრძოლებდა. ამ განცხადებამდე ერთი საათით ადრე კი „ძმები მუსლიმების“ წარმომადგენლებმა პარასკევისთვის მასობრივი საპროტესტო გამოსვლები დაანონსეს. „ძმები მუსლიმები“ მოჰამედ მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვენ.

„ჩვენ ახლა კრიტიკულ სიტუაციაში ვიმყოფებით, ზოგიერთი ქვეყანაში არეულობისაკენ მიისწრაფის, ჩვენ კი სტაბილურობა გვსურს. ზოგიერთს სისხლიანი გზა ურჩევნია. ჩვენ უსაფრთხოებისათვის ბოლომდე ვიბრძოლებთ“, – განაცხადა მანსურმა სატელევიზიო მიმართვისას.

მურსის მხარდამჭერები ახალ მთავრობას არ აღიარებენ. შეგახსენებთ, რომ 3 ივლისს არმიამ მოქმედი პრეზიდენტი გადააყენა, რომელიც ამ დრომდე უცნობ ადგილზე ჰყავთ დაპატიმრებული.

„სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რასაც საპროტესტო აქციის დარბევა და რესპუბლიკური გვარდიის შენობასთან მასობრივი ხოცვა მოჰყვა, ჩვენ მოვუწოდებთ მთელ ქვეყანას, გამოვიდეს ქუჩაში და შეუერთდეს ახალ საპროტესტო მოძრაობას“, – განცხადა „მუსლიმთა“ კოალიციის ლიდერმა ატემ აზამმა.

ეგვიპტის დროებითი პრეზიდენტი ადლი მანსური მხარეებს სიმშვიდის შენარჩუნებისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, ყველა ვალდებულია, გამოიჩინოს თავშეკავებულობა და ყველაფერზე მაღლა დააყენოს ქვეყნის ინტერესები.

გ. მ.